

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება
საქართველოში 2011 წელს

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება

*კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო პროცედურები, ინტელექტუალური
საკუთრების უფლებები*

ანგარიში მომზადებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის
ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში

თბილისი
2012 წ. იანვარი

ანგარიშის ავტორები:

შოთა მურღულია
ბონდო ბოლქვაძე
ნინო ევგენიძე

აკადემიური რედაქტორი:

ვახტანგ კობალაძე, ევრაზიის თანამშრომლობის
ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი

ტექნიკური ასისტენტი:

ნინო სუთიძე, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის
ევროინტეგრაციის პროგრამის თანაშემწე



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი



Sida

პუბლიკაცია მომზადებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს სახსრებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს.

© ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, 2012 წ.

სარჩევი

პუბლიკაციის შესახებ.....	5
I კონკურენციის პოლიტიკა (შოთა მურღულია)	7
1.1 შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა	7
1.2 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა.....	10
1.3. ესკ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა/„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო პირობების შესრულების მდგომარეობა.....	12
1.3.1. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონპროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა	12
1.3.2. მოქმედების სფერო	12
1.3.3 კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.....	15
1.3.4 გამონაკლისები	17
1.3.5 სანქციები	18
1.3.6 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება	20
1.3.7 თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პერსონალის ტრენინგი; კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ კერძო სექტორისა და მოსამართლეების ინფორმირება.....	21
1.4 დასკვნები და რეკომენდაციები.....	22
გამოყენებული წყაროები:	24
II საბაჟო პროცედურები (ბონდო ბოლქვაძე)	26
2.1 შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა	26
2.2 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა.....	29
2.3. ესკ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა	31
2.3.1 ახალი საბაჟო კოდექსის მიღება და მისი განხორციელება ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.	31
2.3.2 ვაჭრობის სფეროს მუშაკებისათვის საბაჟო პროცედურების შესახებ რეგულარული ინფორმირების მექანიზმების შემუშავება.....	34
2.3.3 საბაჟო ადმინისტრაციის საერთო ადმინისტრაციული პოტენციალის გაძლიერება	35
2.3.4 საბაჟო ღირებულების წესების სწორად დანერგვა.....	37
2.3.5 რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლისა და განბაჟების შემდგომი კონტროლის დანერგვა.....	38
2.3.6 ადმინისტრაციის აღჭურვა სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიებით	38

2.3.7 მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა საზღვრების დელიმიტაციის, დემარკაციის და კონტროლის საკითხებში.....	39
2.3.8 მეკობრული ან ფალსიფიცირებული საქონლის იმპორტზე ან ექსპორტზე საბაჟო კონტროლის გაძლიერება.....	40
2.4 დასკვნები და რეკომენდაციები.....	40
გამოყენებული წყაროები:	42
III ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (ნინო ევგენიძე)	43
3.1 შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა	43
3.2 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა.....	48
3.3 ესპ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა/„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო პირობების შესრულების მდგომარეობა.....	52
3.3.1 სასამართლო სისტემა	55
3.3.2. მაკონტროლებელი ორგანოები.....	57
3.3.3 არასამთავრობო და საერთაშორისო აქტორები	59
3.4 დასკვნები და რეკომენდაციები.....	64
გამოყენებული წყაროები:	67

პუბლიკაციის შესახებ

პუბლიკაცია მომზადებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით, ევროპული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში. 2011 წლის სექტემბერში ფონდმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) 2011 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების სამოქალაქო მონიტორინგის განსახორციელებლად. კონკურსი მიმართული იყო საქართველოს ესპ-ის სამოქმედო გეგმის 4.5 თავის „ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ბაზარი და მარეგულირებელი რეფორმა“ ვალდებულებების შესაფასებლად; ასევე, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმების დასადგენად გაწეული საქმიანობის შესაფასებლად.

კონკურსის გამარჯვებულებმა შემდეგ საკითხებზე მოამზადეს ანგარიშები:

- კონკურენციის პოლიტიკა -- შოთა მურდულია;
- საბაჟო პროცედურები -- ბონდო ბოლქვაძე;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები -- ნინო ევგენიძე, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

ესპ-ის სამოქმედო გეგმა ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი დოკუმენტია, რომელიც 2006 წელს შევიდა ძალაში. დოკუმენტი საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნებს განსაზღვრავს. გეგმა რეფორმების იმ ჩარჩო-დოკუმენტს წარმოადგენს, რომელთა განხორციელების შედეგადაც საქართველოს კანონმდებლობა, ნორმები და სტანდარტები ევროკავშირისას უნდა დაუახლოვდეს და ამით ხელი შეუწყოს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ ინტეგრაციას, სიღარიბის შემცირებასა და გარემოს დაცვას, ანუ ქვეყნის მდგრად განვითარებას. ესპ-ის სამოქმედო გეგმა სახელმწიფო მმართველობის პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს. თავის მხრივ, ევროკავშირი ვალდებულებას იღებს მხარი დაუჭიროს საქართველოს ამ რეფორმების განხორციელებაში და, მიღწეული პროგრესის შესაბამისად, კიდევ უფრო განავითაროს მასთან მრავალმხრივი თანამშრომლობა.

ესპ-ის ზოგადი გეგმის ფარგლებში, დგება წლიური გეგმები, რომლებიც გასატარებელ ღონისძიებებს უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს.

ამგვარად, ესპ-ის სამოქმედო გეგმა ძირითადი საზომია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ღონის შესაფასებლად და ხელსაყრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვისაც, სხვადასხვა მიმართულებით რეფორმების ადვოკატირებისათვის.

ესპ-ის სამოქმედო გეგმაში, სხვა სფეროებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ რეფორმებსა და ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარებას. ამ მიმართულებით, 2008 წლიდან, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა ევროკავშირისა და საქართველოს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმების დადება. ასეთი ტიპის შეთანხმება ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას

გულისხმობს. ქვეყნებს, რომელთაც ასეთი შეთანხმების დადება სურთ, ევროკავშირი წინაპირობად უყენებს მთელ რიგ სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოებას. მათ შორისაა, კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო პროცედურები და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. მოცემული შეთანხმების დადების პერსპექტივა ძლიერი სტიმულია საქართველოს ხელისუფლებისათვის ევროინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი 2011 წლამდე თავს იკავებდა საქართველოსთან ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებისგანაც კი, მანამ, სანამ ქართული მხარე, რიგ სფეროებში რეფორმების განხორციელებით არ უჩვენებდა, რომ ამ რთული პროცესის ბოლომდე მისაყვანად მზად არის. მხოლოდ 2012 წლიდან გადაწყვიტა ევროკავშირმა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმების დასადებად ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყება. თუმცა, შეთანხმების გაფორმებამდე ჯერ კიდევ რთული პროცესია გასავლელი, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, სავარაუდოდ, 2 წელიწადს მაინც გასტანს.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე, მის ყოფაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს. ძალზე მნიშვნელოვანია ამ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის სამოქალაქო მონიტორინგის გზით და ქართული საზოგადოების აქტიური ჩართვა ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ჩარჩოს ფორმირებასა და მიღწეული შედეგების შეფასებაში. მოცემული პუბლიკაციაც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

I კონკურენციის პოლიტიკა

1.1 შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია „ანტიმონოპოლიური ღონისძიებები და სახელმწიფო დახმარების პოლიტიკის კონტროლი“. ეს პრიორიტეტი შემდეგ ღონისძიებებს ითვალისწინებს:

- კონკურენციის შესახებ კანონის შესრულების უზრუნველყოფა, კერძოდ, ადმინისტრაციული პოტენციალის ოპტიმიზაციის საშუალებით, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ დამოუკიდებლობას;
- კონკურენციის შესახებ ევროკავშირის პრინციპებთან დაახლოება, „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ V კარის 43-ე და 44-ე მუხლების შესაბამისად;
- სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარებების სფეროში შემდგომი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შესწავლა, კერძოდ: სახელმწიფო დახმარების ზოგადი წესების შემუშავების და დახმარების ოდენობის, ტიპის და დახმარების მიმღებთა შესახებ ყოველწლიური ანგარიშების შედგენის გზით¹.

2011 წლის გეგმით კონკურენციის პოლიტიკის სფეროში შემდეგი ღონისძიებები იყო გათვალისწინებული:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება;
- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონპროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა;
- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პერსონალის ტრენინგი;
- კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ კერძო სექტორის ინფორმირება;
- კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ მოსამართლეების ინფორმირება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობა კონკურენციის სფეროში კანონმდებლობის დახვეწა (ახალი კანონის მიღება) და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ქმედით, დამოუკიდებელ ორგანოდ ფორმირება იყო.

როგორც ვხედავთ, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფორმატში, საქართველოს, კონკურენციასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ვალდებულებები აქვს ნაკისრი. მოცემულ ნაშრომში შევეცდებით ამ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა გავაანალიზოთ.

¹ სამოქმედო გეგმა - ევროკავშირი საქართველო; - 4.5.5. თავი - კონკურენციის პოლიტიკა

ძირითადი მიზნები

ზოგადად, საქართველოში 2011 წელს კონკურენციის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში არ იყო ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობასთან. გამომდინარე აქედან არც საწარმოს მიერ დომინანტური მდგომარეობა და/ან მისი არაკეთილსინდისიერად გამოყენება იკრძალებოდა.

საქართველოში კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების გამოვლენა (იგულისხმება ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების მიხედვით) სახელმწიფო სტრუქტურების მიერ პრაქტიკულად არ ხორციელდება. ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ არ გააჩნიათ რესურსი და უფლებამოსილებები კონკურენციის შეზღუდვები დადასტურებულად გამოავლინონ, ვინაიდან ეს საჭიროებს სფეროს და კონკრეტული მეწარმეების საქმიანობის ძირეულ კვლევას. ასე რომ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ვარაუდს წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოში რამდენიმე ორგანიზაციის მიერ გამოთქმულ იქნა ნაწილობრივ დასაბუთებული ეჭვი იმის შესახებ, რომ საწვავის და ფარმაცევტულ ბაზარზე შესაძლოა კონკურენციის შემზღუდავი გარიგებები (ძირითადად საუბარია კარტელური ტიპის გარიგებებზე) არსებობდეს.

2011 წლის განმავლობაში სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების, ასევე, საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით თითო ტრენინგს, სემინარსა და კონფერენციას. 2011 წელს განისაზღვრა საინფორმაციო კამპანიის გეგმა და დონორი ორგანიზაცია, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებებს დააფინანსებს.

ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა საქართველოს მიერ პარლამენტში „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის წარდგენას 2011 წლის სექტემბერში შესრულდა. 2011 წ. ბოლოსათვის კანონპროექტი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაში იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონპროექტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის დონე არ იყო მაღალი.

დღეის მდგომარეობით, მოქმედი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძირითად აქცენტს სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის რეგულირებაზე აკეთებს და, სახელმწიფო ორგანოების გარდა, სხვა ეკონომიკური სუბიექტების არამართლზომიერი ქმედებების შედეგად კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას არ აღიარებს. ახალი კანონპროექტი ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას ნაწილობრივ ახდენს.

კანონპროექტში წარმოდგენილია დომინირებული მდგომარეობის განმარტება -- შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, როდესაც მის მოქმედებასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენენ კონკურენტები, მიმწოდებლები და მყიდველები და იგი ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო წილს (შესაბამისი საქონლისა, ან მომსახურების ბაზრის (საბაზრო ბრუნვის)

არანაკლებ 40 პროცენტი). ექსპერტების აზრით, უკეთესი იქნებოდა 40 პროცენტის ნაცვლად აღებულ ყოფილიყო უფრო ნაკლები საბაზრო წილი.

საწარმოთა კონცენტრაცია არ იკრძალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის შესაბამის ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას იწვევს და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ხდება.

კანონპროექტით კონცენტრაციის განმარტება და მისი კონტროლი შესაბამისობაშია ევროკავშირის №1/2003 რეგულაციასთან კონკურენციის წესების შესრულების თაობაზე.

კანონპროექტით სახელმწიფო დახმარების განსაზღვრება ძირითადად თანხვედრაშია ევროკავშირის რეგულაციასთან, თუმცა სახელმწიფო დახმარება არ მოიცავს პრივატიზების პროცესს, ლიცენზიების ან/და ნებართვების გაცემას, ასევე იმ სახელმწიფო შესყიდვებს, რომლებიც ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით. 2011 წლის მონაცემებით, აღნიშნული სარეზერვო ფონდების მოცულობა ჯამში 102 მილიონ ლარს შეადგენდა.

კანონპროექტით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ გარდაიქმნება „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ“. თუმცა, კანონით გათვალისწინებული ჯარიმის ან/და სანქციის დაკისრების უფლება მხოლოდ სასამართლოსა აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური აგენტი საქმის მოკვლევის შედეგად გამოვლენილ კონკურენციის დარღვევას აღიარებს და, სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, კონკურენციის შემზღუდავ ქმედებას წყვეტს.

უმჯობესი იქნებოდა გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტის აღმოსაფხვრელად გარკვეული ზომების გატარება (მაგალითად, კონტრაქტის მოქმედების შეჩერება) კონკურენციის სააგენტოს პრეროგატივად განსაზღვრულიყო. კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილება ხელისუფლებას გააჩნია და ამ მიზეზით სააგენტოს მთავარი უფლებამოსილების ჩამოშორება არ არის მიზანშეწონილი.

წარმოდგენილი კანონპროექტით კონკურენციის სფეროში საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილება საკმაოდ მაღალია. იგი განსაზღვრავს გამონაკლისებს კონკურენციის შემზღუდაველი ხელშეკრულებების აკრძალვიდან; პერიოდულად ამტკიცებს სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. სააგენტო საჩივრებს ან/და განცხადებებს განიხილავს მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად და იგი პასუხს არ აგებს იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება დადგეს არაპრიორიტეტული მიმართულების საჩივრების ან/და განცხადებების განხილვაზე უარის თქმის გამო.

კანონპროექტით კონკურენციის შემზღუდავის შემთხვევაში გათვალისწინებული ჯარიმის სიდიდე მნიშვნელოვნად ნაკლებია ევროკავშირის №1/2003 რეგულაციით განსაზღვრულ ჯარიმასთან. ჯარიმის მოგებაზე ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, ბრუნვაზე მიბმა ეკონომიკურ აგენტს მანიპულირების საშუალებას უტოვებს. სანქცია,

რომელიც დღიურ ჯარიმას და მის განაკვეთს მოიცავს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის და დამატებით კონკრეტიკას საჭიროებს.

სააგენტოსთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ჯარიმა ძალიან დაბალია, რაც არაკეთილსინდისიერ მეწარმეს საშუალებას აძლევს სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესი ხელოვნურად გააჭიანუროს.

1.2 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოში კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების დადასტურებული შემთხვევების გამოვლენა რთულია, რადგან შესაბამისი სფეროს ფუნდამენტური კვლევები საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს და განმახორციელებელი ორგანოს შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილებებით აღჭურვას საჭიროებს.

საქართველოში ხშირად გამოითქმის მოსაზრება საწვავის ბაზარზე არასათანადო კონკურენციის არსებობის თაობაზე, რაც სხვადასხვა ბენზოგასამართ სადგურზე ფასების იდენტურობით არის განპირობებული.

თუმცა, 2011 წელს საწვავის ბაზარზე ახალი მოთამაშის „გალფ“-ის გამოჩენამ მცირედით გააუმჯობესა კონკურენცია, რაც ფასებზე აისახა და ფასებს შორის, მართალია მინიმალური, მაგრამ სხვაობა მაინც არსებობს.

ასეთივე ექვებს აჩენს ფარმაცევტული ბაზარი, სადაც რამდენიმე მსხვილი მოთამაშე მუშაობს, თუმცა მათი საქმიანობის კონტროლი კონკურენციის პოლიტიკასთან მიმართებაში არ ხორციელდება, რადგან აღნიშნული განსაზღვრული არ არის დღეს მოქმედი კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“.

ფარმაცევტული ბაზარი მედიკამენტების მაღალი ფასებით გამოირჩევა. ამ ტიპის პროდუქციაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად არაელასტიკურია და თუ მიწოდება არ გაიზრდება, შესაძლებელია თვითღირებულებაზე გაცილებით მაღალი ფასის დაფიქსირება. ამ სიტუაციის გამოსასწორებლად ხელისუფლების მიერ გადადგმულ იქნა ნაბიჯები ფარმაცევტული საქონლის რეგისტრაციისა და მათი ნაწილის გაყიდვის წესების გამარტივების შესახებ. 2011 წელს მედიკამენტების ნაწილზე ფასების შემცირება დაფიქსირდა.

„სანამ კონკურენტული გარემო არ შეიქმნება და იარსებებს ორი ან სამი კომპანია, რომლებსაც საშუალება ექნებათ კარტელური შეთანხმების საფუძველზე ცვალონ ფასები, საქართველოში ფასების პრობლემა მანამ არ მოგვარდება. ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ არაადეკვატურადაა გაზრდილი წამლის ფასები. ფასნამატები საბაჟოზე შემოტანილსა და საცალო ქსელში გატანილს შორის 100-დან 1000 პროცენტამდე მერყეობს“².

ფარმაცევტულ პროდუქციაზე თვითღირებულებაზე გაცილებით მაღალი ფასების არსებობას ადასტურებს 2011 წელს სააფთიაქო ქსელების მიერ გამოცხადებული

² მერაბ ჯანიაშვილი, ახალგაზრდა ფინანსისტა და ეკონომისტა ასოციაციის თავმჯდომარე, <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2027078.html?s=1>

ფასდაკლების აქციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში 30 პროცენტს აღწევდა. აღნიშნული ფასდაკლების აქცია პროდუქციის ნაწილზე შენარჩუნდა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ ფასდაკლებამდე არსებული ფასები მოგების ძალიან დიდ მარჯას შეიცავდა.

აღსანიშნავია 2011 წელს ხორცის ბაზარზე დაფიქსირებული ფასების მნიშვნელოვანი მატება, რაც გამოწვეულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქონლის დაკვლის უფლების კონკრეტული სასაკლაოებისათვის მიცემით. სასაკლაოებზე საქონლის დაკვლა და მისი კონტროლი სურსათის უვნელობის კუთხით ევროკავშირთან დაახლოების კონტექსტში დაწესდა, თუმცა ეს პროცესი არ მოითხოვს რამდენიმე სასაკლაოსთვის ექსკლუზიური უფლებამოსილებას მინიჭებას. ხელისუფლებას ჰქონდა დრო მოემზადებინა სიტუაცია (გაეგრძელებინა ინფორმაცია მოსალოდნელი ცვლილების შესახებ) და გაცილებით მეტი სასაკლაო შეიქმნებოდა, რაც უზრუნველყოფდა კონკურენციის განვითარებას და ფასების სტაბილურობას.

საქართველოში კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი მთავარი ნორმატიული აქტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონია, რომელიც ბევრ ხარვეზს შეიცავს და შეუსაბამოა ევროპაში არსებულ რეგულაციებთან. კანონი ძირითად აქცენტს სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის რეგულირებაზე აკეთებს და სხვა ეკონომიკური სუბიექტების არამართლობიერი ქმედებების შედეგად კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას არ აღიარებს.

კანონით არ ხდება დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრა და მისი ბოროტად გამოყენების აკრძალვა; არ რეგულირდება საწარმოთა შერწყმის საკითხი; არ იკრძალება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის კარტელური გარიგებები; „კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტო“ არ არის აღჭურვილი სათანადო ფუნქციებით, საკადრო და ფინანსური რესურსებით. 2011 წელს აღნიშნულ სააგენტოში დასაქმებული იყო 9 ადამიანი და სააგენტოს ჯამური ბიუჯეტი შეადგენდა 180 ათას ლარს.

მოქმედი კანონის დეტალური ნაკლოვანებები წარმოდგენილია „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის ანალიზში.

2010 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის №1551 განკარგულებით დამტკიცდა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენდა. სტრატეგიაში დეტალურად არის აღწერილი საქართველოში კონკურენციის სფეროს რეგულირების მხრივ არსებული პრობლემები და მოცემულია ჩვენი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიაზაციას ძირითადი მიმართულებები. თუმცა, ეს დოკუმენტი სტრატეგიას წარმოადგენს და აუცილებელია მასში განსაზღვრული პრინციპების განხორციელების დეტალური მექანიზმების კანონმდებლობაში ასახვა.

1.3. ესპ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა/„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო პირობების შესრულების მდგომარეობა

„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო პირობების შესრულება კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით პირდაპირ კავშირშია საქართველოს ხელისუფლების მიერ 2011 წელს ესპ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან, კონკრეტულად „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ახალი კანონის მიღებასთან. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძირითადი აქცენტი აღნიშნული კანონპროექტის ანალიზზე გავაკეთოთ.

1.3.1. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონპროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა

2011 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონპროექტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის დონე არ იყო მაღალი. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ინტერესი დიდია და შესაძლებელი იყო, კანონპროექტის წერის პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან განხილვების მოწყობა. 2010 წლის მიწურულს „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის“ შემუშავებისა და დამტკიცების პროცესიც გამჭვირვალობის დაბალი ხარისხით ხასიათდებოდა.

ჩარჩო კანონის შემუშავებაში საქართველოს მთავრობას დახმარებას უწევდა შვედეთის კონკურენციის სააგენტო. აღნიშნული თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა ჩარჩო კანონის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან. ამ კუთხით, შვედეთის კონკურენციის სააგენტოს ექსპერტების დასკვნა დადებითი იყო³.

1.3.2. მოქმედების სფერო

კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, მისი უცვლელად დამტკიცების შემთხვევაში, გავრცელდება:

- „ისეთ ქმედებებზე, რომელსაც ადგილი აქვს შესაბამის ბაზარზე და არამართლზომიერად ზღუდავს საქართველოს სასაქონლო და მომსახურების

³ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელის, ლაშა მგელაძის წერილი, 11.11.2011

ბაზრებზე არსებულ კონკურენციასა და თავისუფალ ვაჭრობას;

- სახელმწიფო ორგანოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს იმ ქმედებებსა ან/და გადაწყვეტილებებზე, ან იმ სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავს (ან შეუძლიათ შეზღუდონ) კონკურენტული გარემო და თავისუფალი ვაჭრობა⁴.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 2011 წ. მოქმედი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძირითად აქცენტს სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის რეგულირებაზე აკეთებს და სხვა ეკონომიკური სუბიექტების არამართლზომიერი ქმედებების შედეგად კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას არ აღიარებს. წარმოდგენილი კანონპროექტი აღმოფხვრის ამ ნაკლოვანებას და იგი მიზნად ისახავს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უზრუნველყოფას, კერძოდ:

ა) თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო ორგანოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მხრიდან ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;

გ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის პირობების უზრუნველყოფა;

დ) ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა;

ე) ეკონომიკური აგენტების საქმიანობისას მათი თანასწორუფლებიანობის დაცვა;

ვ) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა;

ზ) სახელმწიფო ორგანოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მხრიდან ეკონომიკური აგენტებისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას;

თ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან 2011 მოქმედი კანონი დ; ე; ვ; პუნტებს არ არეგულირებს და შესაბამისად ამ საკითხების კანონპროექტში გათვალისწინება წინადადებული ნაბიჯია.

კანონპროექტში წარმოდგენილია დომინირებული მდგომარეობის განმარტება - შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, როდესაც მის მოქმედებასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენენ კონკურენტები, მიმწოდებლები და მყიდველები და იგი ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო წილს (შესაბამისი ბაზრის - საბაზრო ბრუნვის - არანაკლებ 40 პროცენტი). ექსპერტების აზრით, უმჯობესი იყო 40 პროცენტის ნაცვლად უფრო ნაკლები საბაზრო წილი ყოფილიყო გათვალისწინებული. თუმცა, ევროკავშირის ქვეყნებში

⁴ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი

მნიშვნელოვანი საბაზრო წილი 30-დან 50 პროცენტამდე⁵ მერყეობს და საქართველომ საშუალო განაკვეთი გამოიყენა.

2011 წელს არსებული კონკურენციის კანონმდებლობით საწარმოთა კონცენტრაცია არ რეგულირდება. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით კონცენტრაცია გულისხმობს:

ა) ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმას, რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი უერთდება მეორეს ან ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი ერთიანდება ერთ ახალ ეკონომიკურ აგენტად.

ბ) როდესაც პირი, რომელიც აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს, გარიგების საფუძველზე მოიპოვებს სხვა ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს.

კონცენტრაცია არ იკრძალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის იწვევს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ხდება.

კანონპროექტით კონცენტრაციის განმარტება და მისი კონტროლი შესაბამისობაშია ევროკავშირის №1/2003 რეგულაციასთან.

ევროკავშირის კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო დახმარებას, როგორც ნებისმიერ დახმარებას, რომელიც გაცემულია წევრი ქვეყნების სახელმწიფო რესურსებიდან სხვადასხვა ფორმით და:

- ახდენს მიმღების ეკონომიკურ წახალისებას;
- გაცემულია შერჩევითი პრინციპით კონკრეტული ფირმების ან კონკრეტული საქონლის წარმოებისათვის;
- შეიძლება შეზღუდოს კონკურენცია;
- გავლენას ახდენს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.⁶

ევროკავშირის №1998/2006 რეგულაცია განსაზღვრავს მცირე მნიშვნელობის სახელმწიფო დახმარებას, როგორც ერთ საწარმოზე გაცემულ სახელმწიფო დახმარებას, რომელიც სამი წლის მანძილზე 200 000 ევროს არ უნდა აღემატებოდეს. მსგავსი დამხმარება ევროკომისიისათვის შეტყობინებას არ ექვემდებარება. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტით სახელმწიფო დახმარების განსაზღვრება, ძირითადად, თანხვედრაშია ევროკავშირის რეგულაციასთან, თუმცა სახელმწიფო დახმარება არ მოიცავს პრივატიზების პროცესს, ლიცენზიების ან/და ნებართვების გაცემას, ასევე, იმ სახელმწიფო შესყიდვებს, რომლებიც ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით. 2011 წლის მონაცემებით აღნიშნული სარეზერვო ფონდების მოცულობა ჯამში 102 მილიონ ლარს შეადგენდა.

⁵ „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის №1551 განკარგულების პირველი თავის 4.1.3 პუნქტის მე-4 აბზაცი.

⁶ „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის №1551 განკარგულების პირველი თავის 4.1.6 პუნქტის მე-5 აბზაცი.

1.3.3 კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2011 წ. მოქმედი კანონის ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვანებად თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არასაკმარისი დამოუკიდებლობა და კომპეტენცია სახელდება. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნას. აღსანიშნავია, რომ „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის“ შესაბამისად, უნდა შექმნილიყო კონკურენციის სააგენტო, რომლის პასუხისმგებლობის სფერო იქნებოდა, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგი. ამ კანონპროექტით კი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პასუხისმგებელი იქნება როგორც კონკურენციის კანონმდებლობის, ისე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებაზე. შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩანაცვლებას კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოთი და ამ ახალშექმნილი სააგენტოს უშუალო მონაწილეობას, როგორც სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ისე ამ პროცესის მონიტორინგს. საგულისხმოა, რომ ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებაზე ზედამხედველობა, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ორგანიზება და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგი, თავისი არსით განსხვავებულია; შესაბამისად, მათი გაერთიანება და ერთი სააგენტოსთვის დაკისრება ხელს არ შეუწყობს არც კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულებას, არც სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიან ზედამხედველობას⁷.

სავარაუდო დარღვევის შესახებ სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ეკონომიკურ აგენტს (მომჩივანი), რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის დარღვევის შედეგად უშუალო ზიანი მიადგა. მომჩივანმა სააგენტოში, საჩივართან ერთად, მტკიცებულებები უნდა წარადგინოს. ის განიხილება მხარედ და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აგრეთვე აქვს პირს (განმცხადებელს), რომელსაც გააჩნია ინფორმაცია ან რაიმე სახის მტკიცებულება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. თუმცა, მას შეიძლება არ მიდგომია ზიანი. განმცხადებელი არ განიხილება მხარედ.⁸ აღნიშნული დადებითად შეიძლება შეფასდეს, როგორც კანონდარღვევის ფაქტების გამოვლენის წახალისება.

კანონპროექტით მომჩივანი ან განმცხადებელი სააგენტოს მომსახურების საფასურს იხდის. საფასურიც მთავრობის მიერ დგინდება. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულოა გადასახადებისა და

⁷ შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირებულ კანონპროექტზე „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 14.11.11, <http://transparency.ge/post/general-announcement/shenishvnebi-datsinadadebebi-sakartvelos-mtavrobis-mier-sakanonmdeblo-ini>

⁸ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტი.

მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტით მთავრობისთვის ჯარიმების და საფასურის დადგენა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამ დებულებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის N. 2/1/187-188 გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი საფასური არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი⁹.

სააგენტოს უფლება აქვს უარი თქვას საჩივრის ან/და განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ წარმოდგენილი საჩივარი არ შეესაბამება მთავრობის მიერ დადგენილ პრიორიტეტებს. ამ შემთხვევაში მომსახურებისათვის გადახდილი საფასური უკან არ ბრუნდება. აღნიშნული დებულება მნიშვნელოვნად ზღუდავს განმცხადებლის მოტივაციას აღმოაჩინოს და სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია კანონდარღვევის შესახებ. ამასთან სააგენტო მხოლოდ წარმოდგენილ საჩივრებზე და განცხადებებზე რეაგირებს და თვითონ არ ახდენს პოტენციურად საფრთხის შემცველი სფეროების შესწავლას.

თუ საქმის მოკვლევის შედეგად კანონდარღვევა გამოვლინდა, სააგენტო საქმეს სასამართლოს გადასცემს შემდგომი განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად¹⁰. კანონით გათვალისწინებული ჯარიმის ან/და სანქციის დაკისრების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური აგენტი საქმის მოკვლევის შედეგად გამოვლინებულ კონკურენციის დარღვევას აღიარებს და, სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, კონკურენციის შემზღუდავ ქმედებას წყვეტს¹¹.

სასამართლოსთვის საბოლოო გადაწყვეტილების, მათ შორის, ჯარიმების და/ან საურავების დაკისრების უფლებამოსილების გადაცემამ შეიძლება გააჭიანუროს კონკურენციის შემზღუდავი ქმედების აღმოფხვრა. ამასთანავე, გადაწყვეტილების პირდაპირ სასამართლოს მიერ გამოტანა ეკონომიკურ აგენტს, ისევე როგორც კონკურენციის სააგენტოს, გასაჩივრებისთვის ერთი ინსტანციით ნაკლებს უტოვებს.

მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს ჰქონდეს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების უფლება, მაგალითად, კონტრაქტების და გარიგებების შეჩერების უფლება. სასამართლოს დადგენილებას რომ დაელოდოს, ეს პროცესი დიდ დროს წაიღებს. ამიტომ, კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება კონკურენციის შემზღუდავის ფაქტის დაფიქსირების შესახებ, რომელიც ბაზარს აზიანებს პირდაპირ უნდა შედიოდეს ძალაში.

⁹ შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირებულ კანონპროექტზე „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 14.11.11, <http://transparency.ge/post/general-announcement/shenishvnebi-datsinadadebebi-sakartvelos-mtavrobis-mier-sakanonmdებlo-ini>

¹⁰ იგულისხმება თბილისის საქალაქო სასამართლო.

¹¹ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის 29-ე მუხლის მე-7 და 26-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტები.

განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილება სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს¹².

უმჯობესი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კონკურენციის სააგენტოს პრეროგატივად განსაზღვრულიყო. მართალია, ეს კორუფციის რისკს ზრდის, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილება ხელისუფლებას გააჩნია და ამ მიზეზით სააგენტოს მთავარი უფლებამოსილების ჩამოშორება მიზანშეწონილი არ არის.

1.3.4 გამონაკლისები

წარმოდგენილი კანონპროექტი არ ვრცელდება კონკრეტული საქონლის, ან მომსახურების ბაზარზე, რომლის საბაზრო ბრუნვა აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის 0,25 პროცენტს¹³. საქართველოს 2010 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობიდან გამომდინარე 0,25 პროცენტი დაახლოებით 52 მილიონ ლარს შეადგენს. უახლოეს წარსულში ხელისუფლებამ მონოპოლიური ქმედება მარილის ბიზნესში აღმოაჩინა, რომელიც კანონპროექტით გათვალისწინებული ზღვრების შედეგად შესაძლებელია საერთოდ არ მოხვდეს რეგულირების სფეროში.

წარმოდგენილი კანონპროექტით კონკურენციის სფეროში საქართველოს ხელისუფლების უფლებამოსილება საკმაოდ მაღალია. კონკრეტულად: საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს გამონაკლისები კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების აკრძალვიდან¹⁴. სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს პერიოდულად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სააგენტო საჩივრებს ან/და განცხადებებს მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განიხილავს და იგი პასუხს არ აგებს იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება დადგეს არაპრიორიტეტული მიმართულების საჩივრების ან/და განცხადებების განხილვაზე უარის თქმის გამო¹⁵.

„შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი და ეგრეთ წოდებული „შავი ხვრელი“ - ამ კანონში, მთავრობის მიერ გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობაა. რაც ნიშნავს იმას, რომ თუკი სააგენტოში შევა სარჩელი რომელიმე კომპანიის ბაზარზე კონკურენციის უკანონოდ შეზღუდვის შესახებ, მთავრობას შეუძლია ეს პრეცედენტი დაუმვას და იმ კონკრეტული კომპანიის საქმიანობა გამონაკლისად დაასახელოს. შესაბამისად, ასეთ კომპანიას კანონით განსაზღვრული არც ერთი სანქცია არ შეეხება. ეს ვითომ მცირე დეტალი, შეიძლება ითქვას, რომ ეჭვქვეშ აყენებს მთელი სააგენტოს მუშაობის ეფექტიანობას”¹⁶.

¹² კახა გოგოლაშვილი, <http://24saati.ge/index.php/category/news/2011-11-04/21332.html>

¹³ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის ვ) პუნქტი.

¹⁴ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის მე-19 მუხლის 1-3 პუნქტები.

¹⁶ სალომე თეთრამე, დაჩქარებული კონკურენციის პოლიტიკა ქართულ-ევროპულ ჭრილში, <http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/189/id/302/print/true> -

1.3.5 სანქციები

„კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ კანონპროექტით განსაზღვრული უფლებამოსილებები ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებაში, ძირითად ნაწილში შეესაბამება ევროკავშირში მოქმედ რეგულაციებს, თუმცა სადავოა თუ რამდენად ეფექტური იქნება კანონპროექტით დადგენილი სანქციები და ჯარიმები.

ევროკავშირში სანქციები კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის შემდეგ კატეგორიულად იყოფა:

- ჯარიმა ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან არასრული/არასწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის;
- ჯარიმა კონკურენციის შემზღუდავი ქმედების დადასტურების შემთხვევაში;
- საურავი კონკურენციის შემზღუდავი ქმედების აღმოფხვრის დროში გაჭიანურების გამო;
- ჯარიმა კონკურენციის შემზღუდავი ქმედების განმეორებისათვის.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის“ კანონით განსაზღვრული მიზნებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოიწვევს იურიდიული პირების დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე¹⁷. ჯარიმის სიდიდე შეესაბამება პოტენციურ არამართლზომიერ ქმედებასთან და მის უარყოფით გავლენასთან. დიდი ალბათობით, მიმართვების უმეტესობა შეეხება ბაზარზე დომინანტური პოზიციის მქონე სუბიექტების მიერ კონკურენციის პირობების დარღვევას. ამ სუბიექტებისათვის, დარღვევის არსებობის შემთხვევაში, ზემოთ მითითებული თანხა მიზერულია და ხელს შეუწყობს სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის გაჭიანურებას.

ევროკავშირის 2002 წლის 16 დეკემბრის №1/2003 რეგულაციის თანახმად, ევროკავშირის კომისიას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დააჯარიმოს ის სუბიექტები, რომლებიც კონკურენციის პოლიტიკასთან დაკავშირებული საქმის განხილვის პროცესში მოთხოვნილ ინფორმაციას არ წარმოადგენენ ან წარმოადგენენ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ჯარიმის სიდიდე განსაზღვრულია სუბიექტის წინა სამეწარმეო წლის მთლიანი ბრუნვის არაუმეტეს 1 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბაზარი მნიშვნელოვნად პატარაა ევროპის ბაზართან შედარებით, წარმოდგენილი კანონპროექტით განსაზღვრული ჯარიმის სიდიდე დაბალია და არ წარმოადგენს რეალურ ბერკეტს კანონის დამრღვევი მეწარმის მიმართ. ევროკავშირის რეგულაციით განსაზღვრული ჯარიმის სიდიდის (წინა სამეწარმეო წლის მთლიანი ბრუნვის მაქსიმუმ 1 პროცენტი) გაანგარიშების წესის მიხედვით, 3000 ლარის ოდენობის ჯარიმა (რაც კანონპროექტით ჯარიმის მაქსიმალური განაკვეთია), პირობითად, შეიძლება 300.000 ლარის წლიური ბრუნვის მქონე სუბიექტს დაეკისროს. აღნიშნული

¹⁷ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის 32-ე მუხლი.

ბრუნვა, საქართველოს მასშტაბით, მცირეა და დომინირებულ მდგომარეობასთან კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

წარმოდგენილი კანონპროექტი, კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის დაჯარიმებას ითვალისწინებს. ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული მოგების 10%-ს. ხოლო თუ ეკონომიკურ აგენტს იმავე ფინანსური წლის განმავლობაში მოგება არ მიუღია, მაშინ ჯარიმა განისაზღვრება ბრუნვის არაუმეტეს 2 პროცენტით¹⁸.

ევროკავშირის კომისია უფლებამოსილია, კონკურენციის პირობების დარღვევის გამო, დააჯარიმოს ეკონომიკური აგენტი. ჯარიმის სიდიდე შეადგენს ეკონომიკური აგენტის მიერ წინა წელს მიღებული ბრუნვის მაქსიმუმ 10 პროცენტს¹⁹.

წარმოდგენილი კანონპროექტით კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევაში გათვალისწინებული ჯარიმის სიდიდე მნიშვნელოვნად ნაკლებია ევროკავშირის №1/2003 რეგულაციით განსაზღვრულ ჯარიმასთან. ჯარიმის მოგებაზე, ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, ბრუნვაზე მიბმა, ეკონომიკურ აგენტს მანიპულირების საშუალებას უტოვებს. მცირე მოგების შემთხვევაში გადასახდელი ჯარიმა გაცილებით ნაკლები იქნება მოგების არარსებობის შემთხვევაში გადასახდელ ჯარიმაზე, რაც არალოგიკურია.

კანონდარღვევის აღმოფხვრამდე ევროკომისია უფლებამოსილია საწარმოს და საწარმოო გაერთიანებებს დააკისროს ყოველდღიური სანქცია (საურავი), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტს. სანქციის მიზანია კონკურენციის შემზღუდველი ქმედების დროულად შეჩერება²⁰.

მსგავსი სანქცია საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის.

№1/2003 რეგულაცია წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის სავალდებულოდ გამოსაყენებელ დოკუმენტს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია სანქციების მაქსიმალური განაკვეთები და ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობა ამ რეგულაციას შეუსაბამონ. ჯარიმები და საურავები ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობას №1/2003 რეგულაციით დადგენილი ნორმების ფარგლებში აქვთ განსაზღვრული. თუმცა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მხოლოდ ერთი ქვეყნის მასშტაბით ოპერირებენ, ეროვნული კანონმდებლობით შესაძლებელია სხვა ზომის სანქციები იყოს განსაზღვრული.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ევროკავშირის ქვეყნებიდან. გერმანიის ხელისუფლებამ ჯარიმები და სანქციები სრულად თანხვედრაში მოიყვანა №1/2003 რეგულაციასთან, თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გამონაკლისები დაუშვა.

¹⁸ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის 35-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

¹⁹ ევროკავშირის №1/2003 რეგულაციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁰ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ისინი იმ კომპანიებს ეხება, რომელთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალი მხოლოდ გერმანიის ტერიტორიით შემოიფარგლება.

ლატვიაში კონკურენციის საბჭოს (Competition Council) უფლებამოსილებაა განსაზღვროს ეკონომიკური აგენტების დარღვევები და შესაბამისი ჯარიმები დააკისროს²¹. კონკურენციის შესახებ კანონით იკრძალება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და კონკურენციის საბჭო უფლებამოსილია ეკონომიკური აგენტი ასეთი დარღვევისათვის დააჯარიმოს. დარღვევისათვის ჯარიმის ოდენობა შეიძლება შეადგენდეს გასული ფინანსური წლის ბრუნვის 5%-მდე თანხას. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, კონკურენციის საბჭო უფლებამოსილია გაამკაცროს სანქციები: გაზარდოს ჯარიმის ოდენობა გასული ფინანსური წლის ბრუნვის 10%-მდე თანხით. მინისტრთა კაბინეტი გამოსცემს დამატებით დადგენილებებს, რომლებითაც დაკონკრეტებულია ჯარიმების ოდენობა დარღვევის სიმძიმიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე. დარღვევის სიმძიმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დარღვევის ტიპი, მისი შედეგები და ბაზრის რამდენი მონაწილე იყო მასში ჩართული. კაბინეტის დადგენილებით, კონკურენციის საბჭოს უფლება ენიჭება ეკონომიკურ აგენტს გარკვეულ ფარგლებში შეუმციროს ჯარიმა.

შვედეთში გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის დაჯარიმების შესახებ სტოკჰოლმის საქალაქო სასამართლო იღებს, შვედეთის კონკურენციის ორგანოს (Swedish Competition Authority) მიმართვის საფუძველზე. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება დარღვევის სიმძიმიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე. ადმინისტრაციული ჯარიმის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 10%-ს²². შვედეთის კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელია ეკონომიკური აგენტი მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დაკისრებული ჯარიმისგან. ამისათვის საჭიროა მან მიმართოს შვედეთის კონკურენციის ორგანოს და აღიაროს დარღვევა.

1.3.6 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის №829 განკარგულებით გადაწყდა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ რეორგანიზაცია და, მათ ბაზაზე, ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შექმნა.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის აღსრულებისა და თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების

²¹ ლატვიის კანონი კონკურენციის შესახებ, http://www.kp.gov.lv/uploaded_files/ENG/Competition_law.pdf

²² შვედეთის კონკურენციის ორგანოს ვებგვერდი, http://www.kkv.se/t/Page___7094.aspx

სფეროში შესყიდვების პროცედურების კანონიერების ზედამხედველობა, შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა და ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საქართველოში თავისუფალ ვაჭრობასა და კონკურენციასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №497 დადგენილებით დამტკიცდა სააგენტოს დებულება.

სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით.

დაქვემდებარებისა და კონტროლის კუთხით განხორციელებული ცვლილება შესაბამისობაშია ევროპაში არსებულ მოდელებთან. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში კონკურენციის მაკონტროლებელი უწყებები ეკონომიკის სამინისტროებს (ავსტრია, ფინეთი, გერმანია, სლოვენია, ლატვია) ან უშუალოდ პრემიერ მინისტრს ექვემდებარება (პოლონეთი). თუმცა, მაგალითად, უნგრეთში, ასეთი უწყება უშუალოდ პარლამენტის დაქვემდებარებაშია.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს უფლებამოსილებები, რომლებიც შესაბამისობაშია „სახელმწიფო შესყიდვების“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ მიზნებთან.

ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნით კონკურენციის სფეროს რეგულირების მხრივ არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა, რადგან 2011 წლის ბოლომდე „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონში ცვლილებები არ შესულა. შესაბამისად, ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციას კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით დადებითი ეფექტი არ მოუტანია.

1.3.7 თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პერსონალის ტრენინგი; კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ კერძო სექტორისა და მოსამართლეების ინფორმირება

2011 წლის განმავლობაში სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების, ასევე, საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ განხორციელებულა, თუმცა, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა და დონორი ორგანიზაცია, რომელიც დააფინანსებს აღნიშნულ ღონისძიებებს.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ დაიწყო გრძელვადიანი პროექტი შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (Sida) და შვედეთის კონკურენციის სააგენტოსთან ერთად. პროექტის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგები და განხორციელდება საინფორმაციო კამპანია კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული საჯარო მოხელეებისა და მოსამართლეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ასევე კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მომხმარებლის უკეთ ინფორმირების მიზნით.

პირველი ღონისძიებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში 2011 წელს ჩატარდა იყო ტრენინგი კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისა და სხვა საჯარო მოხელეებისათვის. ტრენინგი შეეხებოდა ევროკავშირში კონკურენციის დარეგულირებასა და საუკეთესო პრაქტიკას. ასევე, ჩატარდა კონფერენცია კონკურენციის კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რომელზეც მოწვეული იყვნენ ბიზნესის წარმომადგენლები, ხოლო მეორე დღეს იმავე თემაზე კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებისათვის სემინარი ჩატარდა.

1.4 დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებები ნაწილობრივ იქნა შესრულებული.

ვალდებულება პარლამენტში „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტის წარდგენის თაობაზე შესრულებულია, თუმცა, აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნები არსებობს. კანონპროექტი 2011 წელს არ დამტკიცებულა, თუმცა, საქართველოს მიერ ასეთი ვალდებულება არც იყო ნაკისრი.

წარმოდგენილი კანონპროექტი, განმარტებების ნაწილში, შეესაბამება ევროპაში არსებულ კონკურენციის პოლიტიკას. თუმცა, კანონპროექტს რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია, რაც, აღსრულების პროცესში, მთავრობას შესაძლებლობას მისცემს კანონის რეალური მოქმედება შეამსუბუქოს. ეს ხარვეზებია: მთავრობის მიერ გამონაკლისების დადგენა; მცირე საჯარიმო სანქციები; კონკურენციის სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა; განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდის ვალდებულება.

ვალდებულება „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ ინსტიტუციური გაძლიერების თაობაზე ნაწილობრივ იქნა შესრულებული. 2011 წლის მიწურულს შეიქმნა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“. თუმცა მისი ინსტიტუციური გაძლიერება ამ ცვლილებით ვერ შეფასდება, მანამ, სანამ ახალი კანონი ძალაში არ შევა.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პერსონალის ტრენინგთან, ასევე, კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ კერძო სექტორის და მოსამართლეების ინფორმირებასთან დაკავშირებით 2011 წელს განხორციელებული საქმიანობა არ არის საჭიროების ადეკვატური. სასურველია, SIDA-ს დახმარების პროგრამასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდეს აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების დაფინანსება.

2012 წელს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის სფეროში ქმედითი კონტროლის მექანიზმების შემოღება სავარაუდოდ მოსალოდნელი არ არის, რაზეც მეტყველებს აღნიშნული სფეროს (შესაბამისი სააგენტოს) დაფინანსების მოცულობა. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო 2011 წელს - 180

ათასი ლარით ფინანსდებოდა და მისი საშტატო რიცხოვნობა სულ 9 ადამიანით იყო განსაზღვრული. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაფინანსება კი 1,002,1 ათასი ლარით იყო განსაზღვრული და 37 ადამიანი იყო დასაქმებული. 2012 წელს ამ სააგენტოების გაერთიანების შედეგად შექმნილი "კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" დაფინანსება განისაზღვრა 1,171.9 ათასი ლარით, რაც 2011 წელს არსებულ დაფინანსებაზე მცირეა. გაუგებარია თუ როგორ მოახერხებს ახალი სააგენტო გაზრდილი ფუნქციების ნაკლები დანახარჯებით განხორციელებას. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას და მასში ასახული უნდა იყოს სააგენტოს ფუნქციების ზრდის შესაბამისი დაფინანსება.

სასურველია გადახედილ იქნას კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და მასში შემდეგი ტიპის ცვლილებები შევიდეს:

- შემცირდეს მთავრობის როლი კონკურენციის კანონმდებლობის ეკონომიკის სფეროებზე გავრცელების განსაზღვრის კუთხით და აღნიშნული პრიორიტეტების და გამონაკლისი შემთხვევების განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე განხორციელდეს.
- საჯარიმო სანქციები კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისთვის გახდეს ადეკვატური პოტენციურ არამართლზომიერ ქმედებასთან და მის უარყოფით გავლენასთან.
- კონკურენციის სააგენტოს მიენიჭოს საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რათა ოპერატიულად მოხდეს კონკურენციის შემზღუდავი ქმედების აღმოფხვრა.
- კონკურენციის სააგენტო უნდა ახორციელებდეს ეკონომიკის სექტორების მონიტორინგს და მისი საქმიანობა მხოლოდ საჩივრებისა და განცხადებებზე რეაგირებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.
- კონკურენციის სააგენტოში საჩივრისა და განცხადების წარდგენის საფასური უნდა განსაზღვროს კანონმა.
- განმცხადებლის მიერ კანონდარღვევის თაობაზე სააგენტოში წარდგენილი ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში კანონი უნდა ითვალისწინებდეს განმცხადებლის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას.

გამოყენებული წყაროები:

1. ლემეკ ბალცეროვიჩი, „თავისუფლება და განვითარება“, თბილისი, 2004 წ.
2. სლავა ფეტელავა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბილისი, 2007 წ.
3. საქართველოსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება.
4. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა ევროკავშირი-საქართველო.
5. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2011 წლის გეგმა.
6. ევროკავშირის ფუნქციონირების სადამფუძნებლო ხელშეკრულება
7. ევროკავშირის 2002 წლის 16 დეკემბრის №1/2003 რეგულაცია კონკურენციის წესების შესრულების თაობაზე.
8. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც 2010 წლის 12 სექტემბერს წარედგინა პარლამენტს.
9. „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის №1551 განკარგულება.
10. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 26 თებერვლის №143 ბრძანებულება.
11. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ხელმძღვანელის ლაშა მგელაძის წერილი, 11.11.2011.
12. სალომე თეთრადე, დაჩქარებული კონკურენციის პოლიტიკა ქართულ-ევროპულ ჭრილში, 2011 წ. ოქტომბერი,
<http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/189/id/302/print/true>
13. შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირებულ კანონპროექტზე „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 14.11.11, <http://transparency.ge/post/general-announcement/shenishvnebi-datsinadadebebi-sakartvelos-mtavrobis-mier-sakanonmdeblo-ini>
14. სოფო ჩიხლაძე, ექსპერტებმა და ევროკავშირმა მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი დაიწუნეს, გაზეთი „24 საათი“, 04.11.11,
<http://24saati.ge/index.php/category/news/2011-11-04/21332.html>
15. ლატვიის კანონი კონკურენციის შესახებ,
http://www.kp.gov.lv/uploaded_files/ENG/Competition_law.pdf
16. კახა მჭედლიძე, საქართველოში მედიკამენტების გაიაფებისა და გაძვირების მიზეზები, რადიო თავისუფლება, 28.04.2010,
<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2027078.html?s=1>
17. შვედეთის კონკურენციის სააგენტოს ვებგვერდი:
http://www.kkv.se/t/Page_7094.aspx

ანგარიშის მომზადებისას შედგა შეხვედრები, ინტერვიუები, და წერილობითი კომუნიკაცია შემდეგ პირებთან და უწყებებთან:

- **სლავა ფეტელავა**, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კონკურენციის დაცვის სამმართველოს უფროსი.
- **ნოდარ ხადური**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი.
- **დავით ნარმანია**, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი.
- **გიორგი ძნელაძე**, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი.
- **ზვიად მოდებაძე**, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სოციალური მეწარმეობის მიმართულების კოორდინატორი.
- **მარინა ავალიშვილი**, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის ეკონომიკური პროგრამების კოორდინატორი.

II საბაჟო პროცედურები

2.1 შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით საქართველოს საბაჟო სფეროში შემდეგი ვალდებულებები აქვს განსაზღვრული:

- თავი 3. სამოქმედო პრიორიტეტები, პრიორიტეტული სფერო 2.
 - ახალი საბაჟო კოდექსის მიღება და მისი განხორციელება ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
 - საბაჟო კოდექსის შესწორებულ ვარიანტში კოდექსის მოთხოვნების შესრულებისათვის აუცილებელი დებულებების მიღება და განხორციელება, საბაჟო პროცედურების გამარტივების და მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის.
 - საბაჟო ეთიკასთან დაკავშირებული საკითხების ევროკავშირის სტანდარტების და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მოგვარება.
 - ვაჭრობის სფეროს მუშაკებისთვის საბაჟო პროცედურების შესახებ რეგულარულად ინფორმირების მექანიზმების შემუშავება.
 - საბაჟო ადმინისტრაციის საერთო ადმინისტრაციული პოტენციალის გაძლიერება.
 - უფრო გამჭვირვალე წესებისა და ტარიფების შემოღება.
 - საბაჟო ღირებულების წესების სწორად დანერგვა.
 - რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლისა და განბაჟების შემდგომი კონტროლის დანერგვა.
 - ადმინისტრაციის აღჭურვა სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიებით.
 - ადმინისტრაციული შესაძლებლობის შექმნა ლიცენზირების ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.
- თავი 4. ზოგადი მიზნები და საქმიანობა, 4.3.1 თანამშრომლობა საზღვრის მართვის სფეროში
 - საზღვრის მართვაში მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურებს შორის უწყებათშორისი თანამშრომლობის განმტკიცება.
 - მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა საზღვრების დელიმიტაციის, დემარკაციის და კონტროლის საკითხებში.
 - საზღვრების მართვის სფეროში არსებული და სამომავლო მრავალმხრივი და ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების და ოქმების სრული შესრულება.
- თავი 4. ზოგადი მიზნები და საქმიანობა, 4.5.1 საქონლის მოძრაობა
 - მეკობრული ან ფალსიფიცირებული საქონლის იმპორტზე ან ექსპორტზე საბაჟო კონტროლის გაძლიერება.

- საზღვრის დაცვის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის შემუშავება საბაჟო და სხვა სასაზღვრო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გზით.
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარება რისკებზე დაფუძნებულ საბაჟო კონტროლთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საბაჟო სფეროს რეფორმა, ევროკავშირის მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) შესახებ მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობადაც იყო მიჩნეული.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის სამოქმედო გეგმაში, საბაჟო კუთხით, რამდენიმე ინიციატივაა გამოსაყოფი (იხ. პუნქტი 12 და პუნქტი 20): რისკების შეფასებაზე დაფუძნებული კონტროლის სისტემის დახვეწა; გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურების დანერგვა; საბაჟო პროცედურების გამარტივების მიზნით, საზღვრების ინტეგრირებული მართვის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება მეზობელ ქვეყნებთან.

წინამდებარე კვლევაში აღწერილი და შეფასებულია შემოსავლების სამსახურის მიერ 2011 წელს საბაჟო რეფორმის კუთხით განხორციელებული ცვლილებები. შეფასების ნაწილში საქართველოს საბაჟო რეფორმის ანალიზი გაკეთებულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP AP) ნაკისრი ვალდებულებების ქრილში.

ძირითადი მიგნებები

გასული წლის განმავლობაში, საქართველოს შემოსავლების სამსახური კვლავაც აქტიურად წარმართავდა საბაჟო ადმინისტრირების რეფორმებს, რომელიც 2005 წლიდან მოყოლებული ისედაც მაღალი ინტენსივობით ხასიათდება.

საბაჟო კანონმდებლობა და პროცედურები ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ 2011 წელსაც სწრაფად იცვლებოდა. საერთო ჯამში ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს.

საბაჟო ორგანოს მიეცა საქონლის იმპორტ-ექსპორტზე დაწესებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პარალელური უფლება. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებით ასევე ისარგებლებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემაზე აქამდე ავტორიზებული სხვა სახელმწიფო უწყებებიც, ისე, რომ კერძო სექტორს საშუალება ექნება თავად აირჩიოს თუ რომელ უწყებას მიმართოს ლიცენზიის ან ნებართვის ასაღებად. სახელმწიფო უწყებებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დანერგვა, სავარაუდოდ, მომსახურების ხარისხს გაზრდის.

პოზიტიური სიახლე იყო საბაჟო საწყობების კონტროლის კუთხით განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც საწყობში შენახული საქონლის ფიზიკურ კონტროლზე უარის თქმასა და აუდიტის დანერგვას გულისხმობს, როგორც კონტროლის ალტერნატიულ ფორმას. ასევე, საკანონმდებლო და პროცედურულ

დონეზე გასწორდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების დღგ-ით დაბეგვრის საკითხი.

შემოდებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტულ პრაქტიკაში არსებული პროცედურები, როგორებიცაა საქონლის წინასწარი დეკლარირება და ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურება.

რეგულაციური შეიძლება ვუწოდოთ კერძო სექტორთან თანამშრომლობას. ბიზნესთან თანამშრომლობა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების შექმნა, შემოსავლების სამსახურის 2011 წლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახლდათ. ინტენსიურად იმართებოდა დისკუსია სემინარები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კერძო და საჯარო სექტორებს შორის საბაჟო კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმა გახლდათ ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში და ბიზნეს ომბუდსმენის ოფისი.

საინტერესო იყო ინსტიტუციური განვითარების კუთხით განხორციელებული ცვლილებები. რეფორმების ადრეულ ეტაპზე ამ სფეროს არ ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც, გარკვეულწილად, ზოგიერთი პოზიტიური რეფორმის არამდგრადობის მიზეზი გახლდათ. ამას ისიც დაერთო, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე არაერთმა ორგანიზაციამ გამოავლინა საბაჟოს ინსტიტუციურ განვითარებაში არსებული ხარვეზები და შემოსავლების სამსახურს მისცა რეკომენდაცია მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება; ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება; თანამშრომელთა ტრენინგი; ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია და ა.შ.

საბაჟო ღირებულების ნაწილში კვლავ რჩება გარკვეული სირთულეები. კერძოდ, საბაჟო ადმინისტრაციის მიერ სრულყოფილად არ სრულდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ დადგენილი საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები.

რისკების მართვის კუთხით, 2011 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, ჯერაც არ ამოქმედებულა ზოგიერთი ახალი ინიციატივა, რომლებიც ჯერ კიდევ 2010 წლიდან მზადდებოდა და 2011 წელს იგეგმებოდა მათი ამოქმედება (რისკის მენეჯმენტის ტრანზიტული მოდული).

შემოსავლების სამსახური 2011 წელს ინტენსიურად განაგრძობდა მუშაობას საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით. დაინერგა საზღვრის დაცვის პოლიციასთან ინტეგრირებული „პირს“-ის პროგრამა. უფრო ხელმისაწვდომი გახდა ელექტრონული სერვისები.

2011 წელი საინტერესო იყო, ასევე, საბაჟო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. თურქეთის რესპუბლიკასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველო - თურქეთის საზღვრებზე მეზობელ საბაჟო გამშვებ პუნქტებს შორის ინფორმაციის გაცვლის თაობაზე. შეთანხმებას საფუძვლად დაედო მხარეებს შორის 2010 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

საბაჟო ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ნაწილშიც. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, თანამშრომელთა ტრენინგი ჩატარდა, რომელიც საბაჟო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას

ემსახურებოდა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზოგადად, და კონკრეტულად საბაჟოს როლზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საქმეში.

2.2 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა

2007 წელს შეიქმნა შემოსავლების სამსახური (გაერთიანებული საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციები), რომლის წარმატებული ანალოგია ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში არსებობს. შემოსავლების სამსახურმა შექმნიდან 5 წლის განმავლობაში შეძლო და ჩამოყალიბდა სტაბილურად რეფორმირებად, მზარდ სახელმწიფო უწყებად, რომლის საქმიანობაც სულ უფრო და უფრო მისაღები ხდება მომხმარებლისთვის (ბიზნეს სექტორისთვის).

საქართველოს მთავრობა ცდილობს საბაჟო რეფორმები ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიმართულებით წარმართოს, რაზეც მოწმობს 2006 წელს ევროკავშირის საბაჟო კოდექსის საფუძველზე შემუშავებული საბაჟო კანონმდებლობა.

2011 წლიდან მოყოლებული, საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსია. კერძოდ, ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც საქართველოში ნებისმიერი მატერიალური ქონების შემოტანა-გატანასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებს აწესრიგებს. კოდექსი განსაზღვრავს საქართველოში შემოსატანი, ან საქართველოდან გასატანი საქონლის სტატუსს, დასაშვებ ოპერაციებს, საქონლის მესაკუთრის ვალდებულებებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, საქონლის შემოტანა-გატანაზე დაწესებულ აკრძალვა-შეზღუდვებს და ა.შ. კოდექსისთ ჩამოყალიბებულია ჩარჩო პრინციპები და საქმიანობის ზოგადი წესები, რომლებიც, როგორც წესი, სხვადასხვა კანონმქვემდებარე აქტებშია დაკონკრეტებული.

საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ძირითადი კანონმქვემდებარე აქტია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #993 ბრძანება. გარდა ამისა, ბევრი საკითხი დარეგულირებულია ფინანსთა მინისტრის სხვადასხვა ბრძანებებით, მთავრობის დადგენილებებით და პრეზიდენტის ბრძანებულებებით. საქართველო არის საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ბევრი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციის და შეთანხმების მონაწილე (მაგალითად: გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე GATT), რომლებსაც შიდა საბაჟო კანონმდებლობასთან შედარებით, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს.

აღნიშვნის ღირსია, საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციის ფიტოსანიტარული და ვეტერინარულ-სანიტარული ფუნქციები. ამ ნაწილში სახელმწიფო პოლიტიკას სახელმწიფო საზღვრებზე საბაჟო სამსახურები ახორციელებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.

უწყებათშორისი თანამშრომლობის კიდევ უფრო კარგი მაგალითია საბაჟო და სასაზღვრო პოლიციას შორის საზღვრის კონტროლთან დაკავშირებული ფუნქციების გადანაწილება. საპასპორტო კონტროლი, საავტომობილო საშუალებების შემოწმება და

ანტიკონტრაბანდული ღონისძიებები ორივე ზემოხსენებული უწყების მიერ კოორდინირებულად ხორციელდება.

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, რომელიც „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება.

ბოლო 6-7 წლის განმავლობაში საბაჟო ადმინისტრირების კუთხით გატარებული მნიშვნელოვანი ცვლილებებია: სამსახურის რეზრენდინგი; ახალი კანონმდებლობის შემუშავება, საკადრო რეფორმა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და ა.შ.

თუ თვალს გადავავლებთ 2011 წელს მიმდინარე პროცესებს, აშკარაა, რომ საბაჟო ადმინისტრაციის სტრატეგიული მიზანი იყო:

- 1) მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების შექმნა და თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბება ბიზნეს სექტორთან;
- 2) სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება.

პირველი, სავარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ წლების განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების პროცესი ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა და აღმოჩნდებოდა, რომ ბიზნესს, როგორც მომხმარებელს საბაჟო რეფორმის მიმართ სულ სხვა მოლოდინი და საჭიროებები გააჩნდა. ის ცვლილებები, რომლებიც კერძო სექტორთან კონსულტაციის პროცესის შედეგად იყო შემუშავებული, უფრო სწრაფად მკვიდრდებოდა და ეფექტურობითაც გამოირჩეოდა.

მეორე ძირითადი მიზანი განპირობებული იყო იმით, რომ რეფორმების მიმდინარეობისას იყო შემთხვევები როცა ყველა მხარე თანხმდებოდა კონკრეტული პროცედურული ცვლილებების საჭიროებაზე, თუმცა, საბაჟო ადმინისტრაციის ინსტიტუციური სისუსტე (ძლიერი ადამიანური რესურსებისა და გამართული საინფორმაციო ტექნოლოგიების დეფიციტი) არ იძლეოდა რეფორმების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას.

2011 წელს, საბაჟო რეფორმების მხარდაჭერის კუთხით შემოსავლების სამსახურის ძირითადი პარტნიორი დონორი ორგანიზაციები გახლდათ ევროკავშირის მისია და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროგრამა.

2.3. ესპ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა

2.3.1 ახალი საბაჟო კოდექსის მიღება და მისი განხორციელება ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საკანონმდებლო ცვლილებები

უკანასკნელ წლებში ძალიან მაღალი ინტენსივობით ხდებოდა საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. არც 2011 წელი იყო ამ მხრივ გამონაკლისი²³. ინტენსიური საკანონმდებლო და პროცედურული ცვლილებები საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვება კერძო სექტორს, რომელიც ხშირად გათვითცნობიერებასაც კი ვერ ასწრებს ახალ რეგულაციებში და პროცედურებში, როცა მორიგ ახალ ცვლილებებს აღმოაჩენს. ასეთი ცვლილებების შედეგად ხშირია როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური (ექსპერიმენტალური) გადაწყვეტილებები.

აუცილებელია, რომ შემოსავლების სამსახურმა შეაჯეროს და ჩამოაყალიბოს სტაბილური საკანონმდებლო ბაზა, სტაბილურად დაამკვიდროს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საბაჟო პროცედურები.

იმპორტ-ექსპორტზე დაწესებული ნებართვები და სერთიფიკატები

საბაჟო ორგანოებს უფლება მიეცათ, გასცენ საქონლის იმპორტ-ექსპორტზე კანონმდებლობით დაწესებული ზოგიერთი სავალდებულო ლიცენზია, ნებართვა და სერთიფიკატი. ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებზე დაწესებულ იმპორტ-ექსპორტის ლიცენზიებს, ნებართვებს და სერთიფიკატებს აქამდე გასცემდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცემდა ორმაგი დანიშნულების საქონლის იმპორტ-ექსპორტის ნებართვას; სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები გასცემდნენ ფიტოსანიტარული და ვეტერინარული საქონლის ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის ნებართვებს და სერთიფიკატებს; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გასცემდა შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის ნებართვას და ა.შ.

ახალი ინიციატივის თანახმად, ზემოაღნიშნული ლიცენზიების, ნებართვებისა და სერთიფიკატების გაცემის უფლებამოსილება პარალელურად მიენიჭა ასევე საბაჟო

²³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #993 ბრძანება.

ორგანოებსაც. ეს არ ზღუდავს სხვა სახელმწიფო უწყებებს, რომ მათ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კვლავაც განაგრძონ ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა. უბრალოდ არჩევანის საშუალება ეძლევა ბიზნესმენს, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საბაჟოს მომსახურებით, ან, უწინდებურად, სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებას მიმართოს.

აღნიშნული ცვლილება პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან კერძო სექტორისთვის უკეთესი მომსახურებისა და მეტი კომფორტის შექმნაზეა ორიენტირებული.

ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები საბაჟო საწყობების მიმართ

აღნიშნული საკანონდებლო და პროცედურული ცვლილება ეხება საქართველოში შემოტანილი უცხოური საქონლის ლოგისტიკური მომსახურების გაუმჯობესებას, საბაჟო საწყობების უფრო მოქნილად გამოყენების გზით; კერძოდ, საბაჟო საწყობების გახსნისათვის აუცილებელი სანებართვო ტექნიკური მოთხოვნების ჩანაცვლება საბაჟო კონტროლის ალტერნატიული მექანიზმებით.

ფიზიკური უსაფრთხოების ტექნიკური ნორმების ნაცვლად, საბაჟო ითხოვს საქონლის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას მხოლოდ საბაჟო გარანტიით. ალტერნატიული კონტროლის სახით კი, საბაჟო ატარებს საწყობებში არსებული სასაქონლო მარაგების აღრიცხვის როგორც დოკუმენტალურ შემოწმებას, ასევე რეგულარულ ინვენტარიზაციას და თუ გამოვლინდა დანაკლისი, შესაბამისი საბაჟო გადასახდელები ანაზღაურდება საბაჟო საწყობის გარანტიიდან.

ინიციატივა პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს როგორც იმპორტიორ კომპანიებს, ასევე მათაც, ვინც საქართველოში ტრანზიტული ტვირთების ლოგისტიკურ მომსახურებას ახორციელებს. ტრანზიტული ტვირთების ლოგისტიკის განვითარება თავისთავად გულისხმობს საქართველოში რეგიონული სასაწყობო ცენტრების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზებული სასაწყობო რეგულაციების დანერგვის უპირატესობა ისაა, რომ კომპანიებს შეეძლებათ საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა გამოიყენონ საბაჟო საწყობად, ისე რომ არ მოუწევთ დამატებითი ინვესტიციების განხორციელება სანებართვო ტექნიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თანაც, კომპანიას შეეძლება ერთ სივრცეში შეინახოს როგორც განზაჟებული, ასევე განუზაჟებელი (საწყობის რეჟიმში მოქცეული) საქონელი.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილება კერძო სექტორთან ინტენსიური დიალოგის შედეგად იქნა შემუშავებული და განხორციელებული.

უცხოური საქონლის გადაზიდვის მომსახურების დაბეგრა დღგ-ით

2011 წლის ივნისამდე საქართველოს საბაჟო საქონლის საბაჟო ღირებულებას იმპორტის გადასახდელებით (საბაჟო გადასახადი და დღგ) ბეგრავდა. საბაჟო

ღირებულებაში კი შეიძლება შევიდეს მხოლოდ საქართველოს საზღვრამდე გაწეული ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის ხარჯები და არ შედის საქართველოში შემოტანის შემდეგ გაწეული ხარჯი (იხ. გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე GATT, მუხლი 7). საბაჟო გადასახადის მიზნებისათვის ეს ნორმალურია.

არასწორი პრაქტიკა იყო დღგ-ის მიზნებისათვის დასაბეგრი ბაზის გამოანგარიშება მხოლოდ საბაჟო ღირებულების მიხედვით. იმპორტის დღგ-ით უნდა დაიბეგროს საქონლის საბაჟო ღირებულება + საქართველოში ამ საქონელზე გაწეული ყველა ხარჯი რომელიც გაწეულ იქნა საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე (ლოგისტიკური, საკომისიო, შეფუთვის და დაზღვევის მომსახურებები).

შესაბამისად, საქართველოში შემოტანილ უცხოურ საქონელს ყველა ლოგისტიკური მომსახურება უნდა გაეწიოს დღგ-ს გარეშე. პრინციპი არის ის რომ უცხოურ საქონელზე გაწეული მომსახურება საქონლის ნაწილია და თუ საქონელი ექცევა თავისუფალ მიმოქცევაში მაშინ მომსახურებაც იბეგრება როგორც საქონლის ნაწილი. თუ საქონელი ტრანზიტით ან რეექსპორტით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას მაშინ არც ამ საქონლის მიმართ გაწეული მომსახურების დღგ გადაიხდებინება და არ რჩება საქართველოში.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ დღგ მიბმული იყოს საქონლის სტატუსზე, ანუ უცხოური საქონლის მომსახურება არ იბეგრება დღგ-ით და დღგ დღის წესრიგში მაშინ დგება, როცა საქონელზე საბაჟო ოპერაცია განისაზღვრება (არა მარტო იმპორტი, შეიძლება იყოს დროებით შემოტანა, გადამუშავება და ა.შ).

ზემოაღნიშნული მცდარი პრაქტიკა გამოსწორებულ იქნა 2011 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, რომლითაც საერთაშორისო გადაზიდვები და მასთან დაკავშირებული მომსახურება დღგ-ით დაბეგვრისაგან გათავისუფლდა. ცვლილება შემუშავებული და განხორციელებული იქნა კერძო სექტორთან ინტენსიური დიალოგის შედეგად.

საქონლის დეკლარირების წესები

ამ მიმართულებითაც საკმაოდ საინტერესო ცვლილებები განხორციელდა. შემოსავლების სამსახურმა წინასწარი საბაჟო დეკლარირების პრაქტიკა დანერგა. წინასწარი საბაჟო დეკლარირება გულისხმობს კომპანიის მიერ საქონლის საბაჟოზე წარდგენამდე დეკლარირებას და ყველა აუცილებელი საბაჟო ფორმალობის გავლას. ხოლო საქონლის საქართველოში შემოტანისა და საბაჟოსადმი ფიზიკური წარდგენის შემდეგ, მისი გაშვება მოხდება მაქსიმალურად მოკლე დროში. ალბათ მარტივად გასაგებია, რომ წინასწარი დეკლარირების მთელი ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ თუ აუცილებელი ფორმალობები მოგვარდება საქონლის შემოტანამდე, ან საბაჟოზე წარდგენამდე, მაშინ საქონლის საბაჟოზე მოცდენა აღარ მოხდება. მართალია, დღესდღეობით წინასწარი საბაჟო დეკლარირება მხოლოდ იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელზე ვრცელდება, და ისიც შეზღუდულ შემთხვევებში, თუმცა,

ინიციატივა დადებითად უნდა შეფასდეს და სავარაუდოდ ფართო გავრცელებასაც ჰპოვებს.

წინასწარი დეკლარირება ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში, რომლებიც კარგად ორგანიზებული საბაჟო ადმინისტრაციით გამოირჩევიან. ამ ჭრილში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბაჟო კიდევ ერთი ინიციატივის განხორციელება დაიწყო, რომელიც საბაჟო პროცედურების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას ემსახურება.

ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურება - გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზი)

პირველი გეზი 2010 წლის ნოემბერში ამოქმედდა თბილისის მახლობლად. დანარჩენმა ორმა, ბათუმსა და ფოთში, 2011 წელს დაიწყო ფუნქციონირება. გეზი არის ერთი სარკმლის პრინციპით საქონლის განბაჟების კლასიკური მაგალითი. იმპორტიორებისა და ექსპორტიორებისათვის აქ ყველა საბაჟო პროცედურა საკმაოდ გასაგები და გამჭვირვალეა. პროცესები მაქსიმალურად ავტომატიზებულია. ერთ-ერთი პრეტენზია, რომელსაც კერძო სექტორი გეზის მიმართ გამოთქვამს, მომსახურების საკმაოდ მაღალი ტარიფებია (უფრო დეტალურად ქვემოთა ქვეთავში იხ.). საქმე ისაა, რომ მომსახურების ტარიფები საქართველოს მთავრობის დადგენილებით²⁴ განისაზღვრება, მაგრამ თვითონ სატარიფო პოლიტიკა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციებს უნდა ეყრდნობოდეს, რომლის თანახმადაც მიზანშეწონილია რომ სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორისათვის გაწეული ნებისმიერი მომსახურების საფასური მომსახურების თვითღირებულებას არ აღემატებოდეს. გეზში მომსახურების შემთხვევაში, როგორც ჩანს, ეს პრინციპი დაცული არ არის.

2.3.2 ვაჭრობის სფეროს მუშაკებისათვის საბაჟო პროცედურების შესახებ რეგულარული ინფორმირების მექანიზმების შემუშავება

რადიკალურად შეიცვალა შემოსავლების სამსახურის დამოკიდებულება ბიზნეს სექტორის მიმართ. 2011 წელს განხორციელებული კამპანია ცალსახად გამოხატავდა შემოსავლების სამსახურის სურვილს, მაქსიმალურად ჩაერთო კერძო სექტორი საბაჟო რეფორმის მიმდინარეობაში, რაც, თავის მხრივ, რეფორმის მომხმარებელზე ორიენტირებულობას უზრუნველყოფს. წინა წლებისგან განსხვავებით, 2011 წლის კამპანია მხოლოდ პიარის მიზნით განხორციელებული ფორმალობა კი არ იყო, არამედ კერძო სექტორის საჭიროებების შესწავლისა და გათვალისწინების რეალური მცდელობა.

²⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #96 დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისთვის საფასურისა და მისი განაკვეთის დამტკიცების შესახებ.

შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, რეგულარულად ეწყობოდა სამუშაო შეხვედრები ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლობასთან და ბიზნეს ომბუდსმენის ოფისთან.

მსგავსი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება 2 ძირითად მიზანს უწყობს ხელს:

- 1) ცვლილებები ხდება ბევრად უფრო გააზრებული და მომხმარებელზე ორიენტირებული;
- 2) კერძო სექტორი საბაჟო სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ რეგულარულ კონსულტაციებს იღებს.

თუმცა, შემოსავლების სამსახურსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ფორმალური (მდგრადი) პლათფორმის არქონა გახლავთ. აღნიშნული პროცესი ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივით, რომელიც ოფიციალურ (საკანონმდებლო და პროცედურულ) დონეზე გამყარებული არ არის. იმისათვის რომ პროცესმა მეტი მდგრადობა და სტაბილურობა შეიძინოს, აუცილებელია ოფიციალური სტრუქტურული ერთეულის, „საკონსულტაციო საბჭოს“ ჩამოყალიბება, რაც საერთაშორისო ექსპერტების მიერ არაერთხელ იყო რეკომენდირებული²⁵.

ერთ-ერთი უკანასკნელი კვლევა, რომელიც კერძო სექტორში არსებული საბაჟო პრობლემების იდენტიფიცირებას ისახავდა მიზნად, თავისუფალი უნივერსიტეტის კვლევისა და კონსულტაციების ჯგუფის მიერ იქნა ჩატარებული. ქვემოთ გთავაზობთ კვლევის შედეგად გამოვლენილ, ბიზნესისათვის მთავარი პრობლემატური საკითხების ჩამონათვალს, რომელიც გაზიარებულ იქნა შემოსავლების სამსახურთანაც: საბაჟო მოსაკრებლის მაღალი განაკვეთები; საქონლის დეკლარირების გართულებული წესები; საქართველოში მოქმედი სასაქონლო ნომეკლატურული კოდეხის შეუსაბამობა საერთაშორისო პრაქტიკასთან; საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსებისა და რეექსპორტის პროცედურები; საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები.

2.3.3 საბაჟო ადმინისტრაციის საერთო ადმინისტრაციული პოტენციალის გაძლიერება

სტრუქტურულ-ორგანიზაციული ცვლილებები შემოსავლების სამსახურში

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2011 წლის 23 მაისს დაამტკიცა შემოსავლების სამსახურის მორიგი ახალი დებულება²⁶. ახალი დებულების თანახმად, შემოსავლების სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. სამსახური ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რჩება.

შემოსავლების სამსახურის ახალ დებულებაში კვლავ თვალშისაცემია სამსახურის სტრუქტურული ცვლილებები. შეიქმნა რამდენიმე დეპარტამენტი, გაუქმდა ერთი, სასწავლო ცენტრი კვლავ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

²⁵ საბაჟო რეფორმის სტრატეგია, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, 2011 წ, გვ 40.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება #303 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

აღსანიშნავია რომ გასულ წელს შეიცვალა შემოსავლების სამსახურის უფროსიც.

საბაჟო ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებები 2004 წლიდან მოყოლებული ქაოსური ხასიათისაა. ეს იმით აიხსნება, რომ საბაჟო რეფორმებს აკლია სტრატეგიული დაგეგმვა. ნებისმიერი ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ძირითად მიზნებს და ამოცანებს. რამდენადაც ხშირად ცვლის შემოსავლების სამსახური საბაჟო რეფორმის აქცენტებს და ძირითად ამოცანებს, იმდენად ხშირად უწევს სტრუქტურის ცვლაც.

მიზანშეწონილია შემოსავლების სამსახურმა სტაბილური სტრუქტურა ჩამოაყალიბოს, რომელიც მეტნაკლებად დამყარებული იქნება სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებაზე და სამომავლო სტრატეგიული რეფორმების ჭრილში კარგად იქნება გააზრებული. აქვე აღსანიშნავია, რომ, თუნდაც იგივე ევროკავშირის მასშტაბით, არსებობს არაერთი ქვეყანა, რომელმაც საგადასახადო და საბაჟო სამსახურების გაერთიანების პროცესი წარმატებით გადალახა და გაერთიანებული საბაჟო-საგადასახადო სამსახურის ეფექტური სტრუქტურა ჩამოაყალიბა.

ადამიანური რესურსები

2005 წლიდან მოყოლებული საბაჟო სამსახურში თანამშრომლები თითქმის მთლიანად გამოიცვალა. მასობრივი ცვლილებები ანტიკორუფციული კამპანიის ნაწილი გახლდათ. საკადრო ცვლილებებმა კორუფციასთან ბრძოლის კუთხით მართლაც მოიტანა შედეგები, თუმცა, გაჩნდა საჭიროება, რომ შემოსავლების სამსახურმა თანამშრომლების პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად იმუშაოს.

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბ-ნ ჯამბულ ებანოიძის თანახმად, 2011 წელს ადამიანური რესურსების განვითარება სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის შექმნა, რომელსაც სათავეში ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა სამუშაოს აღწერილობების შემუშავება, რომელიც USAID-ის ტექნიკური დახმარების პროექტთან თანამშრომლობით გაკეთდა. შედეგად, სამსახურის 8 ძირითადი დეპარტამენტისათვის 45 პოზიციის სამუშაოს აღწერილობა მომზადდა²⁷.

სამუშაოს აღწერილობები პოზიტიურად შეცვლის თანამშრომელთა სამსახურში აყვანის (შერჩევის) წესს, ტრენინგის საჭიროებების იდენტიფიცირების პრაქტიკას, თანამშრომელთა შეფასებისა და წახალისების პრაქტიკას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელებული კვლევის თანახმად, 2010 წელს სამუშაოს აღწერილობების არქონა საბაჟო ადმინისტრაციის მნიშვნელოვან სისუსტედ ჩაითვა²⁸.

²⁷ სამუშაოს ანალიზი და სამუშაოს აღწერილობების შემუშავება შემოსავლების სამსახურში, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, 2011 წ., გვ 4.

²⁸ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერა საბაჟო სფეროში (ევროკავშირის პროექტი), 2010 წ., გვ. 41.

იმისათვის რომ შემოსავლების სამსახურმა სამუშაოს აღწერილობების შემუშავების პროცესის მდგრადობა უზრუნველყოს, აუცილებელი იქნება:

- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა ამ საკითხისთვის ცალკე თანამშრომლები გამოყოს.
- არსებული სამუშაოს აღწერილობები სისტემატურად განახლდეს.
- ნორმატიულად შემუშავდეს და დაინერგოს სამუშაოს აღწერილობების მომზადებისა და შემდგომი დამუშავების პროცედურები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების რეგულარულად ორგანიზება. ამ კუთხით, საინტერესო სიახლეა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (მსო) დისტანციური, ელექტრონული სწავლების პროგრამის დანერგვაზე მუშაობა. თუმცა, ჯერ უცნობია როდის გახდება შესაძლებელი ელექტრონული სწავლების დანერგვა და, კონკრეტულად, რომელი სასწავლო მოდულები დაინერგება.

დღესდღეობით, ტრენინგები რომლებიც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის რეგულარულად ეწყობა, ძირითადად, მიმართულია ისეთ მოკლევადიან საჭიროებებზე, რომლებიც რეფორმების მიმდინარეობის პროცესში წარმოჩნდება ხოლმე²⁹.

2.3.4 საბაჟო ღირებულების წესების სწორად დანერგვა

2011 წელსაც აქტუალური რჩებოდა ე.წ. მინიმალურ ღირებულებების³⁰ (სარეზერვო მეთოდი) გამოყენების თემა. ეს მეთოდი 2009 წლამდე ბევრად უფრო მასშტაბურად გამოიყენებოდა, თუმცა, საბაჟო მასზე უარი თქვა და, ძირითადად, საბაჟო ღირებულების გარიგების ფასის მიხედვით განსაზღვრის მეთოდით სარგებლობა დაიწყო. როგორც ჩანს, პრაქტიკამ საბაჟო ღირებულებების ხელოვნურად შემცირების შემთხვევები გამოავლინა, რის გამოც 2010 წლიდან კვლავ აღდგა საბაჟო ღირებულებების კონტროლის უკვე ნაცადი ხერხის (მინიმალური ღირებულებების დაწესება) გამოყენება, თუმცა, მხოლოდ ზოგიერთი სასაქონლო ჯგუფისათვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის #330 ბრძანებით დამტკიცდა სარეზერვო მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით გამოსაყენებელი მინიმალური ღირებულებების (ფასების) ახალი ჩამონათვალი.

WTO კატეგორიულად გამორიცხავს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას რაიმე ფორმის ფიქსირებული მინიმალური ქვედა ზღვარის მიხედვით. საბაჟო ღირებულების კონტროლის ფუნქცია დელეგირებული უნდა იყოს გაფორმების

²⁹ ტრენინგის საჭიროებების შესწავლა შემოსავლების სამსახურში, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, 2011 წ., გვ. 3.

³⁰ საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული სტანდარტული ფასების სია, ე.წ. Price List რომელიც დგინდება როგორც ცალკეული საქონლის განსაზღვრელი ფასის ქვედა ზღვარი. ასეთი მეთოდი ხშირად გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, არაოფიციალური გამოყენებისათვის. ასეთ შემთხვევებში საბაჟო სხვადასახვა სახის ბერკეტებს იყენებს, რომ იმპორტიორი აიძულოს საქონელი ზემოხსენებულ Price List-ში დაფიქსირებული ფასების მიხედვით განაბაჟოს.

შემდგომი საბაჟო აუდიტის ჯგუფზე. ამ პრინციპის მხედველობაში მიღება იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ვაჭრობის სფეროში WTO წესების ზედმიწევნით დაცვას მოითხოვს.

საბაჟო ღირებულების კონტროლის კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს საბაჟო ღირებულების მონაცემთა ბაზის შექმნა. მონაცემთა ბაზა შეიცავს დამუშავებულ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა ღირებულებით ხდებოდა ზოგიერთ რისკ-ჯგუფში შემავალი საქონლის განბაჟება დროის რაიმე კონკრეტულ მონაკვეთში. მონაცემთა ბაზა გამოიყენება, როგორც რისკების ინდიკატორი. თუ დაფიქსირდა აშკარა განსხვავებები ბაზაში არსებულ ინფორმაციასა და რომელიმე იმპორტიორის ან ექსპორტიორის მიერ საბაჟოზე წარდგენილ ინფორმაციას შორის, ეს შეიძლება კარგი მიმანიშნებელი იყოს შესაძლო სამართალდარღვევაზე. შესაბამისად, საბაჟო ინსპექტორს უფლება აქვს საბაჟო აუდიტი ჩაატაროს და სამართალდარღვევის ფაქტი გამოავლინოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.3.5 რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლისა და განბაჟების შემდგომი კონტროლის დანერგვა

როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სამოქალაქო მონიტორინგის ფარგლებში გასულ წელს ჩატარებული საბაჟო პროცედურების კვლევიდან ჩანს³¹, 2010 წელს აქტიურად მიმდინარეობდა რისკების მართვის ე.წ. ტრანზიტული მოდულის შემუშავება. ტრანზიტული მოდული ემსახურება საქართველოს საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის პრევენციას და ანტიკონტრაბანდულ ღონისძიებებს. პროგრამა ტესტირების რეჟიმში იმყოფებოდა, რაც რამდენიმეთვიანი პროცედურაა. გასულ წელს პროგრამის შემუშავება თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ის ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა.

2.3.6 ადმინისტრაციის აღჭურვა სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიებით

2011 წელს მნიშვნელოვანი ცვლილება გახლდათ საბაჟო და სასაზღვრო პოლიციის ერთობლივი ოპერაციული სისტემის “პირს“-ის დანერგვა. აღნიშნული სისტემა გამოიყენება საქართველოს საზღვრის გადამკვეთი ფიზიკური პირებისა და ავტომობილების რეგისტრაციისათვის. სისტემა ზრდის სასაზღვრო უწყებებს შორის კოორდინირებულობის ხარისხს, იმდენად რამდენადაც ორივე სასაზღვრო უწყება მუშაობს ერთიან მონაცემთა ბაზაში და არ ხდება ინფორმაციისა და პროცედურების დუბლირება. მსგავსი სისტემები ფართოდ გამოიყენება ბევრ განვითარებულ ქვეყანაში და საზღვრების ინტეგრირებული მართვის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

³¹ ბონდო ბოლქვაძე, საბაჟო პროცედურები, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, თბილისი, 2010 წ. იანვარი (ანგარიში მომზადდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით).

ახალ ელექტრონულ პროგრამა ASYCUDA World-ის დანერგვაზე მუშაობა ძირითადად დასრულებულია. ქვეყნის მასშტაბით ყველა საბაჟო ოფისი ASYCUDA World-ით მუშაობს. საბაჟო სისტემასთან ინტერნეტ-წვდომა უკვე სრულად არის უზრუნველყოფილი. შესაბამისად, უფრო ფართოდ გავრცელდა ინტერნეტით დეკლარირება და ელექტრონული საბუთების წარდგენა. თუმცა, ახალი პროგრამის რამდენიმე მოდული ჯერ კიდევ არ დანერგილა: გადასახადების გადახდის ავტომატური აღრიცხვა და კონტროლი; რისკის მენეჯმენტის ტრანზიტიული მოდული.

2.3.7 მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა საზღვრების დელიმიტაციის, დემარკაციის და კონტროლის საკითხებში

ამ კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლაა თურქეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის სფეროში. თურქეთისა და საქართველოს საბაჟოები ინფორმაციას გაცვლიან სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით მოძრავი ტვირთების შესახებ. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო მხარეებს შორის 2010 წელს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი საზღვრების ერთობლივი მართვის შესახებ. მემორანდუმი ეხება საბაჟო გამშვებ პუნქტებს - კარწახს და სარფს.

ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა მხარეთა კოორდინირებულ მუშაობას შეუწყობს ხელს, რასაც მოჰყვება საბაჟო პროცედურების დროის დაზოგვა და გამტარუნარიანობის გაზრდა. არსებობს სასაზღვრო კონტროლის მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებშიც მეზობელი ქვეყნის საბაჟოებს ერთმანეთის დახმარება შეუძლიათ, მაგალითად: სასაქონლო პარტია, რომელიც საზღვარს კვეთს, ორივე მხარეს გადის აწონვისა და სკანირების პროცედურას, რასაც დრო სჭირდება. შესაძლოა საბაჟო მოხელემ, საექვო გარემოებების გამო, სატრანსპორტო საშუალების გახსნა და საქონლის შემოწმება გადაწყვიტოს. იმავე გარემოებების გამო, მეზობელი ქვეყნის საბაჟო მოხელემაც შესაძლოა საზღვრის მეორე მხარეს გადაწყვიტოს საქონლის შემოწმება. თუ მოხდა ინფორმაციის გაცვლა, იოლად შეიძლება გაორებული პროცედურების თავიდან აცილება. საკმარისია ეს ყველაფერი მხოლოდ საზღვრის ერთ მხარეს მოხდეს და შედეგები მეორე მხარესაც ეცნობოს.

თანამშრომლობის კიდევ ერთი საშუალება იქნებოდა საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელი რესურსების დაზოგვა. იგულისხმება კონტროლის ძვირადღირებული ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება ისე მოეწყოს, რომ საზღვრის ორივე მხარეს მყოფმა საბაჟომ ისარგებლოს და ერთ საზღვარზე ორი ლაბორატორიის აშენება არ გახდეს საჭირო.

თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება შეიძლება გამოიხატებოდეს ერთობლივი ოპერაციების წარმოებაში და რისკის მენეჯმენტის ერთობლივი სისტემის შემუშავებაში.

2.3.8 მეკობრული ან ფალსიფიცირებული საქონლის იმპორტზე ან ექსპორტზე საბაჟო კონტროლის გაძლიერება

2011 წელს დიდი ყურადღება დაეთმო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხში საბაჟოს როლის გაზრდას. USAID-ის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, ტრეინინგ კურსები დაახლოებით ორმოცდაათამდე საბაჟო ინსპექტორმა გაიარა. ტრეინინგები მიზნად ისახავდა საბაჟო მოხელეების ცნობიერების გაზრდას ზოგადად ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და, ასევე, კონკრეტულად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საქმეში საბაჟოს როლის შესახებ. ტრეინინგების საჭიროება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლინდა³².

დღესდღეობით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით ძირითადი გამოწვევებია: ექსპერტიზისა და გამოცდილების ნაკლებობა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხში საბაჟოს როლის დაუზუსტებლობა და ინტელექტუალური საკუთრების მფლობელებთან ეფექტური კომუნიკაციის უქონლობა. აუცილებელია ასევე მეტი საქმიანი ურთიერთობების დამყარება საბაჟო სამსახურსა და „საქპატენტს“ (ინტელექტუალური საკუთრების დამცველი ძირითადი ორგანიზაცია საქართველოში) შორის.

2.4 დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, 2011 წელს რეფორმები საბაჟო სფეროში ძირითადად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ჭრილში მიმდინარეობდა.

საბაჟო პროცედურების ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებასთან შემდგომი ჰარმონიზაციის მიზნით გთავაზობთ დასკვნებს და რეკომენდაციებს:

- შემოსავლების სამსახურის სტრუქტურა მეტისმეტად არამდგრადია. უნდა ჩამოყალიბდეს სტაბილური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმას მოემსახურება.
- ადამიანური რესურსების განვითარება უნდა დარჩეს პრიორიტეტად. მიზანშეწონილია შემოსავლების სამსახურმა გააგრძელოს მუშაობა ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით, მათ შორის 2011 წელს დაწყებული პროექტები. შეიმუშაოს კადრების მართვის სტრატეგია, რომელიც დაარეგულირებს თამანშრომელთა მოტივაციის, პროფესიული განვითარების, შეფასების და ა.შ. საკითხებს. განაგრძოს ტრეინინგის პროგრამების ორგანიზება, რაც სამსახურის შემდგომი განვითარების მთავარი საფუძველი უნდა გახდეს.
- საბაჟო ადმინისტრაცია სარგებლობს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო კარგად გამართული საინფორმაციო ტექნოლოგიებით, თუმცა, უნდა გააგრძელოს ოპერაციულ სისტემა ASYCUDA World-ის ან ალტერნატიული

³² საბაჟო რეფორმის სტრატეგია, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, 2011 წ., გვ 98.

სისტემების დანერგვაზე მუშაობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბაჟო პროცედურების სრული საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა.

- საბაჟოს როლი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საქმეში ჯერ კიდევ განვითარებას საჭიროებს. ადმინისტრაციამ უნდა განაგრძოს საბაჟოს როლის გაძლიერება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საკითხებში. ამ მიზნით აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელებთან და „საქპატენტთან“ ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმის შემუშავება და საბაჟო ინსპექტორების რეგულარული მომზადება-გადამზადება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საკითხებში.
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ე.წ. მინიმალური ღირებულებებით ძალიან უარყოფითი პრაქტიკაა. მიზანშეწონილია, საბაჟო ადმინისტრაციამ უარი თქვას საბაჟო ღირებულების განსაზღვრის არსებულ პრაქტიკაზე და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესები WTO-ს რეგულაციებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.
- საბაჟო მომსახურებებისთვის დადგენილი მოსაკრებლები ზედმეტად მაღალია. ადმინისტრაციამ უნდა გადახედოს გადამხდელთა მომსახურების ტარიფებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციის ჭრილში.
- რისკებზე ორიენტირებული კონტროლის განვითარების კუთხით, 2011 წელი პროდუქტიული არ ყოფილა. საბაჟო ადმინისტრაციამ უნდა დანერგოს რისკებზე ორიენტირებული კონტროლი ისეთი მიმართულებებით, როგორცაა მგზავრების კონტროლი და სასაზღვრო საბაჟო კონტროლი.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება #303 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #993 ბრძანება.
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #96 დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისთვის საფასურისა და მისი განაკვეთის დამტკიცების შესახებ.
5. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერა საბაჟო სფეროში (ევროკავშირის პროექტი), 2010 წელი.
6. სამუშაოს ანალიზი და სამუშაოს აღწერილობების შემუშავება შემოსავლების სამსახურში, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა), 2011 წელი.
7. ტრენინგ საჭიროებების შესწავლა შემოსავლების სამსახურში, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, 2011 წელი.
8. საბაჟო რეფორმის სტრატეგია, USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, 2011 წელი.
9. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, თბილისი, 2010 წ. იანვარი.
10. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა.
11. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელების 2011 წლის გეგმა.

ანგარიშის მომზადებისას შედგა შეხვედრები, ინტერვიუები, და წერილობითი კომუნიკაცია შემდეგ პირებთან და უწყებებთან:

- დავით ნარმანია, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი.
- ზაზა ბროლაძე, პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი (PMCG) მმართველი პარტნიორი.
- ბიზნეს ომბუდსმენის ოფისი.
- გიგი ლილუაშვილი, პროექტების კოორდინატორი, ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში.
- დავით ლელაშვილი, თავისუფალ უნივერსიტეტთან არსებული კვლევისა და კონსულტაციების ჯგუფის მკვლევარი.
- საქართველოს შემოსავლების სამსახური.
- USAID-ის ტექნიკური დახმარების პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“.

III ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

3.1 შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია „ინტელექტუალური საკუთრების და საწარმოო საკუთრების უფლებები“ (ქვეთავი 4.5.5), რომელიც შემდეგი ღონისძიებების გამხორციელებას ითვალისწინებს:

- ინტელექტუალური და საწარმოო საკუთრების უფლებების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან“ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მოთხოვნებთან და ამ უფლებების ეფექტიანად განხორციელება;
- სასამართლო სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ზემოხსენებული უფლებების მქონე პირთათვის მართლმსაჯულება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, დაწესდეს და უფრო ეფექტიანად განხორციელდეს სანქციები;
- შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების, აგრეთვე, საწარმოო უფლებების დაცვის სამსახურების, საავტორო უფლებების დამცველი და შემგროვებელი საზოგადოებების ერთმანეთთან დაკავშირება. მესამე ქვეყნების მთავრობებთან და საწარმოო გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაფართოება;
- გეოგრაფიული მაჩვენებლების დაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- ინტელექტუალური და საწარმოო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების უკეთ გათვითცნობიერებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება. საწარმოების მიერ პატენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება;
- აღსრულებაზე მიმართული - სასამართლო სისტემის ჩათვლით - რესურსების გაზრდა;
- „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ 42(2) მუხლში მოცემული კონვენციების აღსრულების გაუმჯობესება;
- საქართველოში მეკობრული და ფალსიფიცირებული საქონლის წარმოების შესწავლა და უფლებების მქონე პირებთან ეფექტიანი დიალოგის წარმართვა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის სამოქმედო გეგმის მთავარი მოთხოვნები ამ მიმართულებით გახლავთ შემდეგი:

- ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ არსებული ხელშეკრულებების განახლება და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება;
- ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების უკეთ გათვითცნობიერებაზე მიმართული ღონისძიებების

განხორციელება. საწარმოების მიერ საკაპიტენტო ინფორმაციის გამოყენების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, კერძოდ: ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე ცნობილი ავტორების ნაშრომების ქართულად თარგმნა და გამოცემა; საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა ანალოგიური მასალების გამოქვეყნება და გავრცელება; საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა; ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის ამაღლების მიზნით, საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტისათვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება.

გარდა ამისა, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისტემის ჩამოყალიბება ევროკავშირის მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) შესახებ მოლაპარაკებების დაწყების ერთ-ერთ საკვანძო წინაპირობადაც იყო მიჩნეული.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით, ქართული კანონმდებლობა ძირითადად უკვე ჰარმონიზებულია ევროპულთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი პრობლემებია კანონმდებლობის აღსრულების თვალსაზრისით, მათ შორის ფალსიფიკაციასთან და პირატობასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ საკითხებს ეთმობა. ამასთან, წარმოდგენილია საქართველოში არსებული კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, და გაანალიზებულია ის ძირითადი პროგრესი და დაბრკოლებები, რომლებიც ევროკავშირის პირობების შესრულებას ელოდება წინ.

პროგრესი და დაბრკოლებები

- 2011 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო იყო გაწეული „საქპატენტის“ მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით. თუმცა, შედეგები ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით საქმიანობა კიდევ უფრო გასააქტიურებელია;
- 2011 წელს განხორციელდა 2 საკანონმდებლო ცვლილება და მუშაობა მიდის კიდევ 2 კანონპროექტზე. 2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან აღსანიშნავია, რომ 11 ოქტომბერს ძალაში შევიდა ცვლილება „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში. ასევე განხორციელდა ცვლილებები „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც საბაჟოზე სავაჭრო ნიშნების აღრიცხვიანობის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. დამუშავების პროცესშია „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. კანონპროექტი ითვალისწინებს საავტორო უფლებათა განხორციელების და დაცვის უფრო ეფექტური და ქმედითი მოდელის ჩამოყალიბებას (დეტალები ქვეთავში 2.1.).

- 2011 წელს, ისევე როგორც 2010 წელს, გამოიკვეთა, რომ საქართველოში არსებული კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით წინაღობას არ წარმოადგენს; მთავარი პრობლემა კანონმდებლობის აღსრულებაშია და არა მის შინაარსში. ექსპერტები მიუთითებენ, რომ შესაძლოა კანონმდებლობაში არის გარკვეული ხარვეზები, თუმცა, მის შემდგომ დახვეწაზე ზრუნვა მას შემდეგ იქნება მიზანშეწონილი, როცა არსებული კანონმდებლობის ქმედითი აღსრულება დაიწყება.
- აღსრულების თვალსაზრისით საინტერესოა სასამართლო სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, ინტელექტუალური საკუთრების თაობაზე სასამართლოში შესული სარჩელების რაოდენობა 2011 წელს თითქმის ორჯერაა გაზრდილი. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ დავების ნახევარზე მეტი (85-დან 44 დავა) განუხილველადაა დატოვებული.³³ ეს, ერთი მხრივ, მორიგების მაღალი მაჩვენებლის მიზეზით შეიძლება აიხსნას, თუმცა, მეორე მხრივ, საქმეების ნაწილი განმცხადებელთა დაბალი კომპეტენციის შედეგად შეიძლება იყოს, რაც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლების (მათ შორის ადვოკატთა და მოსამართლეთა კორპუსისთვის) დონის ამაღლების აუცილებლობას კიდევ ერთხელ აყენებს.
- კვლევის დროს სასამართლოსადმი მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებლის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა (დეტალები ქვეთავში „სასამართლო სისტემა“). მათ შორისაა მოსამართლეთა დაბალი კომპეტენცია ამ მიმართულებით. ამასთან, საქართველოში პრობლემებს ქმნის ისიც, რომ არ არსებობს პრეცედენტული სამართალი და, ამას გარდა, არ არსებობს თავად პრეცედენტებიც, რომელთა გაზიარებაც იქნებოდა შესაძლებელი. ასევე არ არსებობს ექსპერტიზის (მაგალითად, IT ექსპერტიზის) გამარტივებული პრაქტიკა (როგორც, მაგალითად აშშ-ში), რაც სასამართლო პროცესს დააჩქარებდა.
- ქვეყანაში ასევე ჯერჯერობით არ არსებობს მედიაციის ინტიტუტი. თუმცა, 2011 წლის დეკემბერში შესაბამისი კანონი მიიღეს, რომელმაც ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე მოდავე მხარეებს დროისა და ფინანსების დანახარჯები უნდა შეუმციროს.
- არსებული კრიმინალური სტატისტიკა³⁴ არ იძლევა საშუალებას ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის რეალური დინამიკა შევაფასოთ, რადგან ამ სტატისტიკაში ასეთი ტიპის დანაშაული გამოყოფილი არ არის. სავარაუდოა, რომ ეს გამოწვეულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამ დანაშაულის რეალური უგულებელყოფით. რაც შეეხება კომპიუტერულ დანაშაულს (რომელშიც შესაძლოა ინტელექტუალური

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი, 10.11.11 #900-11.

³⁴www.police.ge/index.php?m=199&newsid=161

საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულიც შედიოდეს): შსს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2011 წლის 6 თვის განმავლობაში სულ 2 ფაქტია აღნუსხული. თუმცა, ეს ფაქტები ამჯერად ეხება კომპიუტერულ ქსელებში კანონსაწინააღმდეგო შეღწევას მათი დაზიანების მიზნით, და არა ინტელექტუალური საკუთრების საგნის (მაგალითად პროგრამების მოპოვებას). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის რეალური ნება.

- სწორედ აღსრულების პრობლემების მოსაგვარებლად 2010 წელს შეიქმნა საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. თუმცა, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ საბჭოს მხოლოდ ერთი სხდომა გაიმართა. საბჭოს ეგიდით მომზადდა საქართველოში საავტორო უფლებათა დაცვის 2011– 2013 წლების სტრატეგია. ამ დოკუმენტში, ძირითადად, სწორად არის გაანალიზებული არსებული პრობლემები, თუმცა, საგანგებოდ არ არის ხაზგასმული პოლიციის როლი ამ პროცესში. ასევე, სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმაში უპირატესად გათვალისწინებულია ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. მასში პრაქტიკულად არ არის საუბარი ისეთი ტიპის აქტივობებზე, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიციური რეიდების დაწყება პირატული პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციის წინააღმდეგ, თუ ა.შ. შესაბამისად, კონკრეტული, ქმედითი აღსრულებითი ზომების შესახებ ჩანაწერების არარსებობა და ინდიკატორების ზოგადი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სტრატეგია და გეგმა უფრო დეკლარაციული ხასიათია, ვიდრე პრაქტიკული.
- არსებული სტატისტიკა კი ცხადყოფს, რომ საქართველოში კვლავ მწვავედ დგას ვიდეო–პირატობისა და არალიცენზირებული პროგრამების მოხმარების საკითხი. პროგრამული უზრუნველყოფის ამერიკული მწარმოებლების Business Software Alliance-ის და IDC Global Software-ის 2010 წლის მონაცემებით, საქართველო, ანგარიშში შესული 115 ქვეყნიდან, პირატული პროგრამული უზრუნველყოფის უმსხვილეს მომხმარებლად დასახელებული – ქვეყნის მაჩვენებელმა 93%-ს მიაღწია.
- არასახელმწიფო აქტორებიდან გამოიკვეთა ბიზნეს-წრეების პასიურობა, რაც ბევრ სხვადასხვა ფაქტორთან, მათ შორის, სავარაუდოდ, სასამართლოსადმი დაბალ ნდობასთან, სახელმწიფოს ნების არარსებობის გაცნობიერებასთან არის დაკავშირებული; ასევე, პრობლემაა ბიზნეს-აქტორების დაბალი ინფორმირება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის არასახელმწიფო ზომების შესახებ, ანუ იმ აქტივობებზე, რომლებიც თავად ბიზნეს-სექტორს შეუძლია ჩაატაროს, მაგალითად ევროპული ქვეყნების ბიზნესის ანალოგიით (დეტალები იხილეთ ქვეთავში: 3.1.). მნიშვნელოვანი პროგრესია დაფიქსირებული ავტორთა საზოგადოების აქტივობის თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში 2011 წლის 17 ნოემბრის მონაცემებით გაწევრიანებულია

500-ზე მეტი ავტორი და საავტორო უფლების მფლობელი. 2011 წლის 11 მაისის მდგომარეობით, ასოციაცია ითვლიდა დაახლოებით 350 წევრს და ეს მონაცემები არ იყო სისტემატიზირებული. ასოციაციის არსებობის 12 წლის მანძილზე, ანუ 1999 წლიდან 2011 წლის 17 ნოემბრამდე გაცემული იყო 650 ლიცენზია, აქედან 2011 წლის 11 მაისიდან 17 ნოემბრამდე გაცემული იქნა 221 ლიცენზია, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის მესამედი.

რეკომენდაციები

- არსებული რეალობიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მთავარი რეკომენდაციაა აღსრულების მექანიზმების სრულყოფა.
- პირველ რიგში აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით გასაწევი საქმიანობის მასშტაბის გაზრდა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის მოტივირება-სტიმულირება ამ მიმართულებით. ცნობიერების ამაღლების კამპანიაში, ჩვენი აზრით, გამოყენებული უნდა იყოს ყველა, დასავლეთში აპრობირებული მეთოდი – ტრენინგები, სემინარები, მედია-კამპანია, აქციები და ა.შ.
- ასევე, ჩვენი რეკომენდაციაა ხელისუფლებამ ღიად მოახდინოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ნების დემონსტრირება. ერთი მხრივ, ეს შეიძლება მოხდეს ქვეყნის პირველი პირების (მაგალითად, პრემიერ მინისტრის მიერ, რომელიც ამავდროულად საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელია) მიერ ამ საკითხის აქტუალიზების გზით, დეკლარაციულ დონეზე; მეორე მხრივ კი, აუცილებელია ნების დემონსტრირება სამართლებრივი სტრუქტურების ამოქმედების სახით, მაგალითად, პოლიციური რეიდების ჩატარება, დანაშაულის დასჯის პრეცედენტების შექმნა და ა.შ.
- ამავე დროს, აუცილებელია, არა მარტო სადამსჯელო, არამედ სხვადასხვა მასტიმულირებელი ღონისძიებების განხორციელება, თუ წახალისება ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად.
- ზოგადად, აუცილებელია სასამართლოს ავტორიტეტისა და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა.
- ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გამარტივდეს პროცედურები ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავის დროს სასამართლოს მიერ IT აუდიტის დანიშვნისა თუ სხვა ტიპის ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.
- უნდა განხორციელდეს სპეციალური პროგრამები ადვოკატებისა და მოსამართლეების კვალიფიკაციის გაზრდის მიზნით.
- აუცილებლად მიგვაჩნია ექსპერტიზის სამსახურების განვითარების ხელშეწყობა, რათა მათ არ გამოწვიონ პროცესების გაჭიანურება და გაძვირება.

- მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ავტორთა საზოგადოების განვითარება, (დეტალები იხილეთ ქვეთავში 4.1).

3.2 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოში დღეს ინტელექტუალური საკუთრების საკითხებს არეგულირებს შემდეგი ძირითადი კანონები, კერძოდ:

1. საქართველოს საპატენტო კანონი.
2. კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ.
3. კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ.
4. კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ.
5. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.
6. კანონი მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ.
7. კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ.
8. კანონი დიზაინის შესახებ.

გარდა ამისა, ამ კანონების საფუძველზე, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში პასუხისმგებლობებია გათვალისწინებული.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ნაწარმოების ავტორობის მითვისებას ან თანაავტორობაზე იძულებას, ასევე, დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების უკანონო რეპროდუქცირებას, კონტრაფაქციული ასლების შექმნას, იმპორტს, შენახვას, გაყიდვას, გაქირავებას, ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელის უფლების სხვა სახით ხელყოფას.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფისთვისაც. კერძოდ, 189-1 მუხლის მიხედვით, დანაშაულად არის მიჩნეული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება. ასევე, წინასწარი შეცნობით სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შემოსავლის მიღების მიზნით უკანონო გამოყენება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად კი დასჯად ქმედებას წარმოადგენს დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება.

ზემოაღნიშნული დანაშაულებების ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, თავისუფლების შეზღუდვას ან თავისუფლების აღკვეთას მაქსიმუმ 3 წლამდე ვადით.

ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობაა „დიდი ოდენობით ზარალი“, რამაც, რეალურად, უნდა გამოიწვიოს სასჯელის შეფარდება ბრალდებულისათვის.

როგორც წესი, ყველა ქვეყანაში და, მათ შორის საქართველოშიც, სადავო შეიძლება იყოს ამ „განსაკუთრებით დიდი ოდენობის“ განსაზღვრის წესი. ეს საშუალებას იძლევა, რომ რეალურად პირატული პროდუქციით ვაჭრობა დაუსჯელად მოხდეს.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ჩადენილად ითვლება, თუ მფლობელის მიერ მისაღები შემოსავალი აღემატება ხუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით – თუ ზემოაღნიშნული ღირებულება ან შემოსავალი აღემატება ათი ათას ლარს.

ასეთი ჩანაწერის საშუალებით, მაგალითად წვრილ მოვაჭრეებს, რომლებიც ბაზარზე პირატული და ფალსიფიცირებული საქონლით ვაჭრობენ, პრაქტიკულად დაუსჯელად დარჩენის საშუალება ეძლევათ. ეს კი ხელს უწყობს უფრო მსხვილი დამნაშავეების ბიზნესის განვითარებასაც. სწორედ ეს ალბათობა არის ის წინაპირობა, რის საფუძველზეც ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა გათანაბრებულ იქნას, ზოგადად, საკუთრების ქურდობასთან და ზემოხსენებული მოცულობებით შეზღუდული არ იყოს.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელისუფლებო ნების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა გასჭირვებოდა ამ პოზიციის გაზიარება. რადგან პოსტ-რევოლუციური ანტიკრიმინალური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად, როგორც ცნობილია, ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა გამოცხადდა. შესაბამისად, ნების არსებობის შემთხვევაში, სანქციების გამკაცრება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. ეს კი, იმ ეფექტის მომტანი იქნებოდა, რომელიც ზოგადად „ნულოვანი ტოლერანტობის“ არსია - სამართლებრივი დევნის ფაქტები და პრაქტიკა ხელს შეუწყობდა საზოგადოებაში ინტელექტუალური საკუთრების თემასთან დაკავშირებით სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში გამოცხადებულია სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა (რაც პასუხობს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს) და ამ პირობებში საქართველოს ხელისუფლებისგან ზემოთ ნახსენები რეკომენდაციის გაზიარება, სავარაუდოდ საეჭვოა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნების არარსებობაზე მიუთითებს არა მხოლოდ სანქციების გამკაცრებაზე უარის თქმა, არამედ არსებული კანონმდებლობის აღსრულების ძალზე დაბალი მაჩვენებელი (იხილეთ თავი 3).

კიდევ ერთი თავი, რომელიც ნაწილობრივ ეხება ინტელექტუალური საკუთრების, უფრო კონკრეტულად, პირატობის თემას, არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე თავი „კომპიუტერული დანაშაული“. მაგალითად, მუხლი 284, რომლის თანახმადაც, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, რამაც ინფორმაციის განადგურება, მოდიფიცირება ან მოპოვება შეიძლება გამოიწვიოს ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

თუკი ამგვარმა ქმედებამ მძიმე შედეგი გამოიწვია, იგი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ორიდან ხუთ წლამდე ვადით. შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2010 წლის შემოდგომაზე შევიდა. კოდექსის ეს თავი მთლიანად კომპიუტერულ დანაშაულს ეძღვნება.

ამ საკანონმდებლო ცვლილებით ხელისუფლებამ, ერთი შეხედვით, მოახდინა კიბერდანაშაულთან ბრძოლის ნების დემონსტრირება, რაც ზოგადად ინტერნეტ-დანაშაულთან ბრძოლას გულისხმობს. თუმცა, რეალური კრიმინალური სტატისტიკა აღსრულების პრობლემებზე მიუთითებს (იხილეთ თავი 3).

ცხადია, საქართველოში არსებული კანონმდებლობა უშუალოდ სასამართლოსთვის მიმართვის საშუალებას აძლევს დაზარალებულ მხარესაც. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების და სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებების დარღვევისათვის სანქციის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა, ხოლო იგივე ქმედების ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენისათვის ჯარიმის გაზრდილ ოდენობასთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციას. გარდა ამისა, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელს და მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს უფლებების დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურება და უფლების აღიარება მოითხოვოს.

იმაზე, თუ რეალურად როგორ მოქმედებს ეს მუხლი და რა პრობლემებთან არის დაკავშირებული მისი აღსრულება, ქვემოთ ვისაუბრებთ.

2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან აღსანიშნავია, რომ 11 ოქტომბერს ძალაში შევიდა ცვლილება კანონში „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“. ცვლილების შეტანა გამოიწვია ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და დაცვისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობამ. ცვლილების თანახმად საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნულ ცენტრს - „საქპატენტს“ მიენიჭა სხვა ქვეყნებში ქართული

ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნების საქპატენტში რეგისტრაციისას განმცხადებელი არის საჯარო ხელისუფლების ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამრიგად, ამ ცვლილებით ძირითადი აქცენტი კეთდება ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე საქართველოს საზღვრებს გარეთ.

კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით განხორციელდა, გახლავთ ცვლილებები კანონში „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველომ გაიზიარა ბულგარეთის, მალტის, მაკედონიის გამოცდილება. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებები რეგულირდება არა საბაჟო კოდექსით (როგორც ეს საფრანგეთში, გერმანიაში, რუმინეთში, ნორვეგიაში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთსა ან ბელორუსშია), არამედ სპეციალური კანონით „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“. ახალი კანონპროექტით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მფლობელთა მიერ სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელებაზე მოთხოვნის რეგისტრაცია „საქპატენტს“ დაევალება (დღემდე ამას საბაჟო სამსახური ახორციელებდა).

კანონპროექტი მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელთათვის სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელებაზე მოთხოვნის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებას. ცვლილებების თანახმად, უფლების მფლობელის ან მისი წარმომადგენლის განცხადება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე საავტორო და მომიჯნავე, საქონლის ადგილწარმოშობის ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ან კონტრაფაქციული პროდუქციის მიმართ სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნის თაობაზე წარედგინება „საქპატენტს“, რომელიც რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას 5 სამუშაო დღის ვადაში იღებს და დაუყოვნებლივ მიაწვდის ინფორმაციას შემოსავლების სამსახურს. მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს, ასევე, პირს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციაზე განაცხადის საქპატენტში წარდგენისას. კანონპროექტით განისაზღვრება საქონლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საქონლის შენახვის ხარჯების ანაზღურებაზე პასუხისმგებელი პირი. ექვის დადასტურების შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა იმპორტიორს (ან ექსპორტიორს) ეკისრება, ექვის დაუდასტურებლობის შემთხვევაში კი – განმცხადებელს.

საინტერესოა, რომ კანონპროექტი განთავსებული იყო პარლამენტის სადისკუსიო ფორუმზე, თუმცა, განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონპროექტზე შენიშვნები არ შემოსულა და არც კონსულტაციების საგანი გამხდარა.

2011 წელს ამ კანონპროექტების გარდა კიდევ ორი კანონპროექტი იყო მომზადების პროცესში, კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. კანონპროექტი ითვალისწინებს საავტორო უფლებათა განხორციელების და დაცვის უფრო ეფექტური და ქმედითი მოდელის ჩამოყალიბებას. ამასთან, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია მუშაობს ინტერნეტ სივრცის დარეგულირების შესახებ საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებაზე, რაც საკანონმდებლო ინიციატივისათვის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს წარედგინება.³⁵ თუმცა, 2011 წელს მხოლოდ „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ კანონში მოხერხდა ცვლილების დამტკიცება.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი კანონმდებლობასთან დაკავშირებით. 2011 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“³⁶. ცვლილებების მიზანი იყო დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების -- მედიაციის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის დავის აღმოფხვრას და საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებას³⁷.

მედიაციის მექანიზმი შეიძლება ძალიან ეფექტიანად იქნას გამოყენებული ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კანონით, მედიაციის სამსახურის გამოყენებას, ზოგიერთი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში არ ექნება სავალდებულო ხასიათი. მიგვაჩნია, რომ ეს სწორი მიდგომაა, რადგან ამ პროცესისთვის „სავალდებულო“ ხასიათის მინიჭებას, შესაძლოა, მის ნდობაზე დაარსებისთანავე უარყოფითად ემოქმედა.

3.3 ესპ-ის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა/„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო პირობების შესრულების მდგომარეობა

ესპ-ის 2011 წ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხელისუფლების და კერძოდ, „საქპატენტის“ მიერ **საინფორმაციო თვალსაზრისით** გაწეული საქმიანობა, შეიძლება დადებითად შეფასდეს (გაწეული საქმიანობის ჩამონათვალი იხილეთ საქართველოს მთავრობის ესპ-ის 2011 წლის გეგმის ანგარიშში).

³⁵ საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი კობალაძის წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი, 17.11.11.

³⁶ http://www.parliament.ge/index.php?sec_id=1209&lang_id=GEO

³⁷ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კანონით, მედიაციის სამსახურის გამოყენებას, ზოგიერთი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში არ ექნება სავალდებულო ხასიათი. მიგვაჩნია, რომ ეს სწორი მიდგომაა, რადგან ამ პროცესისთვის „სავალდებულო“ ხასიათის მინიჭებას, შესაძლოა, მის ნდობაზე დაარსებისთანავე უარყოფითად ემოქმედა.

რაც შეეხება საერთაშორისო შეთანხმებების დადებასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს, აქ სირთულეები გამოვლინდა. 2011 წელს მხოლოდ ერთი საერთაშორისო შეთანხმება დაიდო -- საქართველო-ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტებზე გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ³⁸.

იმ ხელშეკრულებების ნაწილი, რომელიც ესპ-ის 2010 წლის სამთავრობო ანგარიშის მიხედვით „გაფორმების პროცესში“ იყო, 2011 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობითაც არ იყო ხელმოწერილი. განსაკუთრებით პრობლემურია ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის სფეროში ევროკავშირის ძირითადი რეკომენდაცია გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მოქმედი კანონმდებლობის **აღსრულების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას**. სწორედ ამ პრობლემის მოგვარების დემონსტრირებას ემსახურებოდა 2010 წელს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა. თუმცა, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ საბჭოს მხოლოდ ერთი სხდომა გაიმართა. „საქპატენტის“ ინფორმაციით, „საბჭომ მიზნად დაისახა განავითაროს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განიხილოს და შეიმუშავოს ნორმატიული აქტების პროექტები და დაიცვას საავტორო უფლებები, ისევე როგორც აწარმოოს საზოგადოების ინფორმირების და გათვითცნობიერების კამპანია“³⁹.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია **საქართველოში საავტორო უფლებათა დაცვის 2011–2013 წლების სახელმწიფო სტრატეგიის** შეფასება.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიაში ნაწილობრივ სწორად არის გაანალიზებული არსებული პრობლემები, კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ აუცილებელია:

- სახელმწიფო სტრუქტურების (განსაკუთრებით „საქპატენტის“) როლის კიდევ უფრო გააქტიურება და საავტორო უფლებათა პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალო ჩართულობის გაზრდა;
- მოსაკრებლებთან და ტარიფებთან დაკავშირებული ერთიანი, გამჭვირვალე პოლიტიკის შემუშავება;
- საავტორო უფლებათა აღსრულების გაძლიერება, მათ შორის, სახელმწიფო იძულების მექანიზმების შესაძლო გამოყენებით;
- საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავების გამარტივებულად და მოკლე ვადებში გადაწყვეტის მექანიზმის ამოქმედება;
- ავტორთა, სამართლის პროფესიონალებს, კერძო ბიზნესისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საავტორო უფლებათა სამართლის დარგში;
- საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება ნაწარმოებთა „მეკობრეობასთან“ ბრძოლისა და საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში.

³⁸ საქპატენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რევაზ თაბუკაშვილის წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი N0105/1344 .17.11.2011.

³⁹ საქპატენტის მიერ მომზადებული 2011 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

თუმცა, თავად სტრატეგიაშიც საგანგებოდ არ არის ხაზგასმული პოლიციის როლი ამ პროცესში. ასევე, სამოქმედო გეგმაში უპირატესად გათვალისწინებულია ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, მაგალითად, კვლევების ჩატარება, ნორმატიული აქტების შემუშავება, საინფორმაციო აქტივობების განხორციელება, ტრენინგები, საინფორმაციო ვიზიტები და ა.შ. ცხადია, ეს საჭირო და აუცილებლად განსახორციელებელი საქმიანობაა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში პრაქტიკულად არ არის საუბარი ისეთი ტიპის აქტივობებზე, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიციური რეიდების დაწყება მეკობრული პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციის წინააღმდეგ თუ ა.შ.

შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება იმ მიზნების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოში საავტორო უფლებათა დაცვის 2011–2013 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. კერძოდ, წარმატების შესაფასებლად შემდეგი ინდიკატორებია შერჩეული:


- 2013 წლის დასასრულისათვის საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში უფრო მაღალ პოზიციას იკავებს;
- საავტორო უფლებათა დაცვის განხილვა გამარტივდა;
- 2012 წ. საზოგადოებრივი აზრის კვლევა, 2011 წ.– თან შედარებით უფრო პოზიტიურ განწყობას/ცნობადობას უჩვენებს;
- ტარიფების/მოსაკრებლების სახით ავტორთა სასარგებლოდ მოზიდული და ბიუჯეტში გადახდილი თანხები გაზრდილია.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს ინდიკატორი ზოგადია და გაუმჯობესების დაახლოებითი პროცენტი მითითებული არ არის (მაგალითად, საქმეების ზრდის მაჩვენებელი, საბიუჯეტო თანხების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი თუ ა.შ.).

ამრიგად, კონკრეტული, ქმედითი აღსრულებითი ზომების შესახებ ჩანაწერების არარსებობა და ინდიკატორების ზოგადი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სტრატეგია და გეგმა უფრო დეკლარაციული ხასიათია, ვიდრე პრაქტიკული.

3.3.1 სასამართლო სისტემა

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული იმ დავების რაოდენობა, რომლებზეც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი (სარჩელის დაკმაყოფილების, უარის თქმის ან შეწყვეტის შესახებ), ბოლო 3 წლის განმავლობაში თითქმის უცვლელია და უმნიშვნელოდ არის გაზრდილი⁴⁰. იხ. ქვემოთა ცხრილი.



ცხრილი 1. პირველი ინსტანციის სასამართლო დავების სტატისტიკა (წყარო: უზენაესი სასამართლო)

აქვე, თუ სასამართლოში ინტელექტუალური საკუთრების თემაზე სარჩელების შესვლის (როგორც განხილულის, ისე განუხილველად დატოვებულის) საერთო რაოდენობას დავითვლით, 2009 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში შესული იყო 49 სარჩელი, 2010 წელს - 34, 2011 წელს კი - 85, ანუ სარჩელების რაოდენობა გასულ ორ წელიწადთან შედარებით გაორმაგებულია. თუმცა, მათგან გადაწყვეტილების გამოტანა (დაკმაყოფილების, უარის თქმის ან შეწყვეტის შესახებ) მხოლოდ ნაწილზე მოხერხდა. მაგალითად, 2011 წლის სასამართლოში შესული 85 სარჩელიდან ნახევარი (44 - 2011 წელს) საერთოდ განუხილველად დატოვეს (წინასწარი განხილვის ეტაპზევე, ანუ სასამართლო განხილვამდე ეს საქმეები ვეღარ მივიდა, ხოლო 1 სარჩელი წინასწარი განხილვის სტადიაში იყო).

ეს, ერთი მხრივ, მორიგების მაღალი მაჩვენებლის მიზეზით შეიძლება აიხსნას (რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად შევხებით), თუმცა, მეორე მხრივ, განმცხადებელთა დაბალი კომპეტენციითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.

⁴⁰ უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ნანა ვასაძის ელექტრონული წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი, 17.11.2011.

ამასთან, სასამართლო დავების დაბალი მაჩვენებელი, შესაძლოა დამოკიდებული იყოს კიდევ რამდენიმე ფაქტორზე. მათ შორის:

- ნაკლებინფორმირებულობა;
- სასამართლოსადმი დაბალი ნდობა;
- სასამართლო ხარჯების სიძვირე;
- სასამართლო პროცესის ხანგრძლივი ვადა.

სასამართლო ხარჯების ფასზე საუბრისას შემდეგი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის შეტანისას საბაჟო მოსაკრებელი 100 ლარია (დაახლოებით 60 დოლარი), რაც არ არის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა; თუმცა, სასამართლო პროცესს რამდენიმე ფაქტორი აძვირებს, მაგალითად, ექსპერტიზის ფასი, რომელიც, როგორც წესი, ამ პროცესებს თან ახლავს ხოლმე. ამას გარდა, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ნაწილი პერსონალურად სასამართლოსადმი მიმართვას ადვოკატის მომსახურების სიძვირის გამოც ვერ ახერხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ქვეყანაში ადამიანის დაცვის უფლება (მათ შორის საკუთრების დაცვის უფლებაც), თუმცა, საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური, ჯერჯერობით, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების სასამართლოში წარმომადგენლობითობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღეს პრაქტიკულად არ არსებობს მედიაციის ინსტიტუტები, რომლებიც მსგავსი დავების შემთხვევაში უფრო იაფი და მოკლევადიანი გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებში, სასამართლოსადმი არსებულ დაბალ ნდობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია რამდენიმე სპეციფიკური საკითხი (რომელიც არ გამომდინარეობს ზოგადად სასამართლოსადმი არსებული ნდობის ხარისხის მიზეზებიდან); მაგალითად, „მაიკროსოფტის“ საქართველოს წარმომდგენლობის ინფორმაციით, სახელმწიფო უწყებებიდან ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამებით სულ რამდენიმე უწყება სარგებლობს, მათ შორის – იუსტიციის სამინისტრო, განათლების სამინისტრო და რამდენიმე სხვა სახელმწიფო უწყება. სასამართლო ამ ჩამონათვალში არ არის. ცხადია, საკმაოდ რთულია საუბარი ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად სარჩელის წარმოებაზე სასამართლოში (მაგალითად, არალიცენზირებული პროგრამების მოხმარებისათვის), რომელიც თავად არის არალიცენზირებული პროგრამების მომხმარებელი.

ამას გარდა, ინტელექტუალური საკუთრების საკითხებით დაინტერესებული აქტორები, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, მოსამართლეთა ინფორმირებულობის დაბალ ხარისხზე მიუთითებენ; ასევე იმაზე, რომ მაგალითად აშშ-ში, თემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მოსამართლეები ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად იყენებენ პრეცედენტულ სამართალს. საქართველოში პრობლემებს ქმნის ისიც,

რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს პრეცედენტული სამართალი და, ამას გარდა, არ არსებობს თავად პრეცედენტებიც, რომელთა გაზიარებაც შესაძლებელი იქნებოდა.

სასამართლო გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით, ხშირ შემთხვევაში, (ბიზნესმენტა აზრით) პრაქტიკისა და შესაბამისი გამოცდილების არარსებობის გამო, არაპროგნოზირებადია, რაც პოტენციურ მოსარჩელეთა მხრიდან სასამართლოსადმი მიმართვიანობის ზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

ასევე, არ არსებობს სასამართლოს მიერ მომჩივანის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტიზის, მაგალითად, ე.წ. IT აუდიტის დანიშვნის გამარტივებული პრაქტიკა, ისეთი ფორმატით, როგორც ეს აშშ-შია. შესაბამისად, გართულებულია მომჩივანის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის ფაქტის დადასტურება, რაც ასევე ხელს არ უწყობს სასამართლო პრაქტიკის გააქტიურებას.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, მოსამართლეებთან და ექსპერტებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინტელექტუალური სამართლის ადვოკატთა კორპუსისთვის სწავლების ორგანიზებაც.

3.3.2. მაკონტროლებელი ორგანოები

სასამართლოსთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლები პროგრესის შესახებ გვამცნობს ინტელექტუალური საკუთრებისა და პირატობა-ფალსიფიცირების კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის აღსრულების მაჩვენებელი.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ არსებული კრიმინალური სტატისტიკა⁴¹ არ იძლევა საშუალებას ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის რეალური დინამიკის შეფასებისა, რადგან ამ სტატისტიკაში საერთოდ არ არის მოყვანილი კონმდებლობის ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული მუხლების დარღვევის ფაქტები. სავარაუდოა, რომ ეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამ დანაშაულის რეალური უგულებელყოფითაა გამოწვეული.

რაც შეეხება კომპიუტერულ დანაშაულს (რომელშიც შესაძლოა ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულიც შედიოდეს), შსს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2011 წლის 6 თვის განმავლობაში კომპიუტერული დანაშაულის გრაფაში სულ 2 ფაქტია აღნიშნული⁴².

ასეთი სტატისტიკური მონაცემები, აშკარად არაადეკვატურია საქართველოში რეალურად არსებული ინტერნეტ-მეკობრული მდგომარეობისა.

ბოლო კვლევები, რომლებიც ამ კუთხით არის ჩატარებული, საქართველოსთან დაკავშირებით, 2010 წლის მონაცემებს ეყრდნობა და გვამცნობენ, რომ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება ინტერნეტ-მეკობრეობის და არალიცენზირებული პროდუქციის მოხმარება. პროგრამული უზრუნველყოფის ამერიკული მწარმოებლების

⁴¹ www.police.ge/index.php?m=199&newsid=161

⁴² როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჯერად ეს ფაქტები არ ეხება ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დანაშაულს. თუმცა ამ მუხლით, ასევე, შესაძლოა დაისაჯოს ისეთი დანაშაულიც, რომელიც კომპიუტერული პროგრამების არამართლზომიერ მოპოვებას უკავშირდება, რაც ინტელექტუალური საკუთრების საგანია.

Business Software Alliance-ის და IDC Global Software-ის 2010 წლის მონაცემებით, საქართველო, ანგარიშში შესული 115 ქვეყნიდან, მეკობრული პროგრამული უზრუნველყოფის უმსხვილეს მომხმარებლად დასახელებული. ამ მხრივ ქვეყნის მაჩვენებელმა 93%-ს მიაღწია და გადააჭარბა მოლდოვას (90%), სომხეთის (89%), აზერბაიჯანისა (88%) და უკრაინის (86%) მაჩვენებლებს⁴³.

მიუხედავად იმისა, რომ უფრო ახალი მონაცემების მოპოვება ამ თვალსაზრისით ვერ მოხერხდა, 2011 წელს ამ მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ ტიპის რადიკალური გაუმჯობესება ამ კუთხით, რომ საერთო ტენდენცია შეეცვალა, არ შეიმჩნევა.

2010 წლის იანვრის მონაცემებით, „პირატული პროგრამული უზრუნველყოფა გავრცელებულია, როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო სექტორში. სამთავრობო სამინისტროებსა და სააგენტოებში, ასევე ხელისუფლების მუნიციპალურ ორგანოებში არსებული 30 ათასი პერსონალური კომპიუტერიდან დაახლოებით 70%-ზე დაყენებულია პირატული ან არალიცენზირებული პროგრამები“⁴⁴.

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტს, მულტინაციონალური კომპიუტერული ტექნოლოგიების გიგანტი „მაიკროსოფტის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ინფორმაციით, კომპანია საქართველოში ყოველწლიურად 150 მილიონ დოლარს კარგავს. საქართველოს ბიუჯეტში 50-60 მილიონი ლარის ოდენობის გადასახადები არ შედის. მისი ინფორმაციით, ასეთია „მაიკროსოფტის“ თბილისის წარმომადგენლობის კვლევის შედეგი, რომელიც 2010 წელს გამოქვეყნდა. კვლევა საქართველოში მოპარული კომპიუტერული პროგრამების გავრცელების მამუტაბების დადგენას ისახავდა მიზნად⁴⁵.

ამ ფონზე აშკარად არაადეკვატურია როგორც კრიმინალური სტატისტიკა, ისე – სასამართლოში მიმართვიანობის მაჩვენებელი. ასევე, პრაქტიკულად არ არსებობს სპეციალური პოლიციური რეიდების სტატისტიკა, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში პირატობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმწიფოს ნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას გარკვეულ საზოგადოებრივ ტენდენციას, საქართველოში არსებობენ ექსპერტები, რომელნიც ამ ეტაპზე ანტიპირატული კანონმდებლობის აღსრულების მკაცრი მეთოდების წინააღმდეგ გამოდიან. ისინი აღნიშნავენ, რომ აღსრულების გამკაცრებამ ქვეყანა, შესაძლოა, ინტელექტუალური სიახლეების მოხმარების მიღმა დატოვოს და საქართველოს საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხოს. მაგალითად, ისინი ხაზს უსვამენ შემდეგ სოციალურ ფაქტორებს. დღეს ლიცენზირებული პროგრამების ფასები ასე გამოიყურება: 1. ოპერაციული სისტემა Windows 7: \$200-\$320; 2. საოფისე პროგრამების პაკეტი Microsoft Office 2007: \$150-\$680; 3. გრაფიკული რედაქტორი Photoshop CS4: \$700-\$1000; 4. მუსიკალური

⁴³ <http://portal.bsa.org/globalpiracy2010/>

⁴⁴ირაკლი გვენეტაძე, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული პირატულ პროგრამებთან და კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლის სპეციალური კომისიის ხელმძღვანელი. <http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav012810a.shtml>

⁴⁵ <http://www.voanews.com/georgian/news/microsoft-georgia-104094173.html>

რედაქტორი Audition 3: \$350; 5. ვიდეორედაქტორი Vegas Pro 9: \$600; 6. ჩამწერი პროგრამა Nero 9: \$70-\$200; 7. მრავალენოვანი ლექსიკონი Babylon 8.0: \$40-\$120; 8. ანტივირუსი Norton 360 Version 4.0: \$80 და ასე შემდეგ.

საქართველოს მოსახლეობის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი ერთ სულზე 178,6 ლარს შეადგენს⁴⁶. ამ სიტუაციაში ლიცენზირებული პროგრამების მოხმარების აუცილებლობის წინაშე დადგომამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეამციროს საქართველოში კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობა, მათ შორის, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, რომელიც 2009 წლისთვის 1,3 მილიონ ადამიანს შეადგენდა, (რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით მესამედია)⁴⁷. ეს კი დაკავშირებულია როგორც განათლების, ისე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან, რაც, საქართველოს პირობებში, როგორც ეკონომიკური პროგრესის შემაფერხებელია, ისე პოლიტიკური, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული და სოციალური საფრთხეების შემცველია. სწორედ ამიტომ, როგორც ხელისუფლება, ისე ექსპერტები ამ თემის სენსიტიურობაზე საუბრობენ.

მით უმეტეს, ეს კიდევ უფრო სენსიტიური იქნება 2012-2013 წლებში, როცა ქვეყანაში ცხოვრება წინასაარჩევნო რეჟიმშია და ხელისუფლება, შესაძლოა, მოერიდოს მსგავსი არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას.

თუმცა, მიგვაჩნია, რომ ეს არ არის დაუძლეველი პრობლემა და, ამასთან დაკავშირებით ჩვენს რეკომენდაციებს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

3.3.3 არასამთავრობო და საერთაშორისო აქტორები

არასამთავრობო და საერთაშორისო აქტორთა როლი საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით პროგრესისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. განსაკუთრებით იმ დროს, როცა სახელმწიფო მაკონტროლებელთა ნება ამ კუთხით ნათლად არ არის გამოკვეთილი.

გარკვეული პროგრესი, ჩვენი აზრით, დაფიქსირდა ავტორთა საზოგადოებასთან დაკავშირებულ ცვლილებებში, რაც ამ ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ შემდეგ ინფორმაციაშია ასახული.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში 2011 წლის 17 ნოემბრის მონაცემებით გაწევრიანებულია 500 ზე მეტი ავტორი და საავტორო უფლების მფლობელი. 2011 წლის 11 მაისის მდგომარეობით, ასოციაცია ითვლიდა დაახლოებით 350 წევრს და ეს მონაცემები არ იყო სისტემატიზირებული.

სტატისტიკური მონაცემებით, ასოციაციის არსებობის 12 წლის მანძილზე, ანუ 1999 წლიდან 2011 წ. 17 ნოემბრამდე გაცემული იყო 650 ლიცენზია, აქედან 1999 წლიდან 2011 წლის 11 მაისამდე გაცემულ იქნა 429 ლიცენზია, რაც გულისხმობს წელიწადში

⁴⁶http://www.geostat.ge/?action=page&p_id=175&lang=geo

⁴⁷<http://www.internetworldstats.com/asia/ge.htm>

საშუალოდ 36 და თვეში 3 ლიცენზიის გაცემას, ხოლო, 2011 წლის 11 მაისიდან 17 ნოემბრამდე გაცემულ იქნა 221 ლიცენზია, რაც გულისხმობს ყოველთვიურად საშუალოდ 37 ლიცენზიის გაცემას, ანუ ლიცენზიების რაოდენობა დაახლოებით 12-ჯერ აღემატება 2011 წლამდე არსებულ მონაცემებს.

მნიშვნელოვნად არის აგრეთვე გაზრდილი გაცემული ლიცენზიებით გათვალისწინებული თანხების გადახდის მაჩვენებელიც, კერძოდ, 2011 წლის 11 მაისამდე გაცემული 429 ლიცენზიიდან, თანხას იხდიდა მხოლოდ 106 ლიცენზიის მფლობელი, ანუ დაახლოებით 24%, ხოლო დღეის მდგომარეობით არსებული 650 ლიცენზიიდან, თანხას იხდის 436 ლიცენზიის მფლობელი, ანუ ლიცენზიის მფლობელთა 67%, შესაბამისად ამოღების მაჩვენებლის ზრდა შეადგენს 280%-ს. ამოღების მაჩვენებლის სრულყოფისა და ახალი ლიცენზიების გაცემის მიზნით ასოციაციის შემადგენლობაში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ბაზრის სისტემატური კონტროლი და მონიტორინგი.

ასევე დაზუსტდა საზღვარგარეთის საავტორო უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები – 107 ხელშეკრულება 150 ქვეყანასა და ტერიტორიასთან. აქტიურ ფაზაშია თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან: ევროკავშირის წარმომადგენლობასთან საქართველოში, USAID-ის CLDP – კომერციული სამართლის განვითარების პროგრამასთან⁴⁸.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლო დავების უმეტესობა დღეს ავტორთა საზოგადოებების სასარგებლოდ მთავრდება.

2011 წლის 11 მაისის მდგომარეობით ასოციაცია აწარმოებდა 60 სასამართლო პროცესს. მოსარგებლებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად უმრავლეს შემთხვევაში მიღწეულ იქნა შეთანხმება და საქმეები მორიგებით დასრულდა, კერძოდ, 60 საქმიდან 36 დასრულდა მორიგებით, 14 საქმე დასრულდა ასოციაციის სასარგებლოდ, ხოლო 10 საქმე კვლავ მიმდინარეობს⁴⁹.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომლის შესახებაც 2011 წელს გახდა ცნობილი, საბაჟოზე სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული. ცვლილებების თანახმად, საბაჟოზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მომენტალურად უნდა აისახოს „საქპატენტის“ საერთო ელექტრონულ ბაზაში. შესაბამისად, უნდა მოხდეს ბაზების დაკავშირება. ამ საკითხში „საქპატენტს“ დახმარებას უწევს USAID EPI-ის პროექტის ფარგლებში. თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ ტექნიკური დავალებაა დაწერილი და შემსრულებელი ორგანიზაციებისთვის ინტერესთა გამოკითხვაა გამოცხადებული⁵⁰. ეს ნიშნავს, რომ საქპატენტის ელექტრონული ბაზის შექმნისა და, მათ შორის, უწყებათა ელექტრონულად ურთიერთდაკავშირების პროცესი მინიმუმ 2012 წლის ბოლომდე ვერ დასრულდება.

⁴⁸ საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი კობალაძის წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი, 17.11.11.

⁴⁹ საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი კობალაძის წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი, 17.11.11.

⁵⁰ ინტერვიუ USAID-ის EPI-ის პროგრამის კომერციული სამართლის მენეჯერთან ირაკლი დემეტრაშვილთან, 28.12.2011.

აქვე USAID-ის EPI-ის პროგრამის მიერ 2010 წელს მომზადებულ დასკვნაში⁵¹ აღნიშნულია, რომ საბაჟოს პერსონალის, კერძოდ, მებაჟეების ცოდნის ხარისხი სასაქონლო ნიშნების იდენტიფიცირების თაობაზე ძალზე დაბალია. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით, 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით, არცერთ იმპორტიორ კომპანიას ამ საკითხებზე მებაჟეებისათვის არ ჩაუტარებია.

ასევე, საინტერესოა ცნობილი „მაიკროსოფტის“ გამოცდილება საქართველოში. „მაიკროსოფტის“ საქართველოს ბიუროს იურისტის ირაკლი გვილიას ინფორმაციით, ამ ეტაპზე კომპანია არ აწარმოებს არცერთ სასამართლო დავას. კომპანიის საქმიანობა არალიცენზირებული პროგრამების გამოყენების წინააღმდეგ შემოიფარგლება რამდენიმე ბანერის განთავსებით (რომლებიც აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით დამზადდა); და, ასევე, კომპიუტერული ტექნიკის მიმწოდებელი კომპანიებისათვის გამაფრთხილებელი წერილების დაგზავნით⁵². კომპანიას საქართველოში ამ მიმართულებით საქმიანობის დაგეგმვა 2010 წლიდან დაუწყია.

ბიზნეს-სექტორის ეს პასიურობა ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის ამოქმედების კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. ამ პასიურობის მიზეზი, ერთი მხრივ, შესაძლოა იყოს არაინფორმირებულობა, მეორე მხრივ კი ის, რომ კომპანიები აცნობიერებენ ამ მიმართულებით სახელმწიფო ნების არარსებობას და ამიტომ თავს იკავებენ აქტიური ქმედებების განხორციელებისგან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის, რომ მაგალითად, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაში საერთაშორისო კომპანიები გაცილებით უფრო აქტიურები არიან, ვიდრე ადგილობრივები.

„საქპატენტის“ ინფორმაციით, 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ამ უწყებაში სულ 45,380 სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული. აქედან სულ 2,960 ქართველი განმცხადებლის მიერ. რაც შეეხება პატენტებსა და დიზაინს: ამჟამად ძალაში მყოფი პატენტების რაოდენობაა 2,038. აქედან პატენტის მფლობელი 1,021 უცხოელი და 1,017 ადგილობრივია. ასევე, ძალაშია დიზაინზე გაცემული 251 მოწმობა⁵³.

თავად ეს სტატისტიკაც ცხადყოფს, რომ ადგილობრივი ბიზნესისა თუ ზოგადად ადგილობრივი განმცხადებლების ინფორმირებულობისა და აქტიურობის მაჩვენებელი ამ მიმართულებით ძალიან დაბალია. ამასთან, როგორც წესი, სასაქონლო ნიშნების უმეტესობა, ძირითადად, უფრო მსხვილ კომპანიებს აქვთ დარეგისტრირებული და, ამ თვალსაზრისით, ფარმაცეპტული სფერო გამოირჩევა.

სტატისტიკის თანახმად, ყველაზე მეტი სასაქონლო ნიშანი (240) ფარმაცეპტულ სფეროში მოქმედ კომპანია „ავერსი-ფარმას“ აქვს დარეგისტრირებული. ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სფეროში ლიდერობს კომპანია „შატო მუხრანი“. საბანკო სექტორში ყველაზე მეტი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი „ლიბერთი


⁵¹ Assessment of Georgia's Intellectual Property Rights Environment (IPR Environment), USAID/Georgia Office of Economic Growth, Deloitte Consulting LLP, March 4, 2011.

⁵² ინტერვიუ მაიკროსოფტის საქართველოს ოფისის იურისტთან ირაკლი გვილიასთან, 10.01.2012.

⁵³ საქპატენტის ანგარიში 2011 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე.

ბანკია“. კვების პროდუქტების წარმოების სფეროში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით მიმდინარე წელს საქპატენტს ყველაზე მეტი განაცხადით კომპანია „ბარამბომ“ მიმართა.

წლების მიხედვით, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის სტატისტიკა ასე გამოიყურება:



ცხრილი 2 ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაცია და მშპ-ს ზრდა წლების მიხედვით (www.wipo.int, www.sakpatenti.ge)⁵⁴

ამ მონაცემებით ნათელი ხდება, რომ სავაჭრო ნიშნების რეგისტრაციის პიკი საქართველოში 2008 წელს იყო (დარეგისტრირდა 986 სავაჭრო ნიშანი), რაც ეკონომიკის მდგომარეობასთან მიმართებაში საკმაოდ უცნაური მაჩვენებელია, რადგან ეს საქართველოში ეკონომიკური ვარდნისა და საქართველო-რუსეთის ომის წელი იყო.

ბოლო წლებში კი რეგისტრაციის მაჩვენებელი სტაბილურია და თითქმის 3-4-ჯერ აღემატება 2003 წლამდე მაჩვენებელს. მაგრამ თუ ევროპული და მეზობელი ქვეყნების მონაცემებს შევადარებთ, ეს მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათ.

მაგალითად 2010 წელს საქართველოში დარეგისტრირებულია 825 სავაჭრო ნიშანი, სომხეთში - 1,568; მოლდოვაში - 1,901; უკრაინაში - 21,299; ესტონეთში - 5,657; ბულგარეთში - 18,219; ბელორუსში - 5,447; ლატვიაში - 5,787; ლიტვაში - 5,287; რუმინეთში - 20,593. (თურქეთის და აზერბაიჯანის 2010 წლის მონაცემები ბაზაში არ

⁵⁴ http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/country_profile/countries/ge.html

არის აღრიცხული, ბაზაში საერთოდ არ არის ალბანეთის, ყაზახეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის 2009-2010-2011 წლის მონაცემები)⁵⁵.

ცხადია, ეკონომიკის მასშტაბიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში პირდაპირი შედარება არასწორი იქნება, თუმცა საქართველოს როლსა და ადგილზე ამ სფეროში გარკვეულ წარმოდგენას ეს ციფრებიც ქმნის. ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებული, თუმცა რეალურად, თუნდაც სომხეთის სტატისტიკასთან შედარება გვიჩვენებს, ძალისხმევა გასაძლიერებელია.

საერთაშორისო აქტორების როლის თვალსაზრისით, საინტერესოა 2011 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გაწეული საქმიანობა. GIZ-ის თაოსნობით მომზადდა „საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის ბიზნეს-გეგმა“.

ბიზნეს-გეგმაში, სხვა საკითხებთან ერთად, გაანალიზებულია საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეები. ამ ანალიზის თანახმად, „იმ დროს, როდესაც საქართველოს „სრული კონკურენტუნარიანობა“ არის ოდნავ უკეთესი, ვიდრე სომხეთის და საკმაოდ ჩამორჩება აზერბაიჯანს, - მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე - „გლობალური კონკურენციის ანაგარიში 2010“- საქართველოს ინოვაციებთან დაკავშირებული კრიტერიუმების რეიტინგის კრიტერიუმთა ზედმიწევნითი ანალიზი სერიოზულ ნაკლოვანებათა მთელ სერიას ავლენს. თითქმის არ არსებობს თანამშრომლობა უნივერსიტეტებს და მეწარმეებს შორის, კომპანიებს არ გააჩნიათ R&D-სთვის (კვლევისა და განვითარებისათვის -- ნ.ე.) თანხების გაღების სურვილი და არა აქვთ ინოვაციური შესაძლებლობები“⁵⁶. ამ პრობლემების დასაძლევადაა შექმნილი სწორედ ბიზნეს-გეგმაც. „საქპატენტის“ ინფორმაციით, 2012 წელს ამოქმედდება ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, რომელიც იმუშავებს უშუალოდ გამოგონებების კომერციალიზაციის მიმართულებით. თუმცა, ჯერჯერობით, გარკვეული არ არის ცენტრის ამოქმედების პირველადი დაფინანსების წყაროები, რაც ამ ცენტრის პერსპექტივასთან დაკავშირებით გარკვეულ ეჭვებს აჩენს.

ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებისა და ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით. საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი დაეხმარება მეცნიერებს გამოგონებებისა და მიღწევების დაპატენტებაში (რაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ერთ-ერთი მიმართულებაა) და, ასევე, წარმოადგენს მათ სასამართლოებში (თუ მათი უფლებები შეილახა).

⁵⁵http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/country_profile/countries/ge.html

⁵⁶ ბიზნეს გეგმა - ტექნოლოგიების ტრანსფერ ცენტრის დაარსება საქართველოში, GIZ, October 18, 2011.

3.4 დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელისუფლებამ ფორმალურად შეასრულა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის სამოქმედო გეგმის მთავარი მოთხოვნები, გადადგა გარკვეული ნაბიჯები ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის სრულყოფის, ავტორთა საზოგადოების განვითარების, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების კუთხით (იხილეთ „საქპატენტის“ ანგარიში 2011 წელს გაწული საქმიანობის შესახებ), თუმცა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია.

- საკანონმდებლო ბაზა, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. თუმცა, მცირეა ამ კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების პრეცედენტები. საქართველოში დაბალია სასამართლოში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით მიმდინარე სამოქალაქო დავების რაოდენობა.

ჩვენი რეკომენდაციაა, გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობის დონე, გაგრძელდეს ავტორთა საზოგადოების განვითარება, ადვოკატებისა და მოსამართლეების ტრენინგი. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია ექსპერტიზის სამსახურების განვითარების ხელშეწყობა, რათა მათ არ გამოწვიონ პროცესების გაჭიანურება და გაძვირება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ გამარტივდეს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავის დროს სასამართლოს მიერ IT აუდიტის დანიშვნის, თუ სხვა ტიპის ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ პროცედურები. ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება, აშშ-ის ლიბერალური სასამართლო სისტემის გამოცდილების გათვალისწინება. ეს საშუალებას მისცემდა მომჩივან მხარეებს დაედასტურებინათ ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ფაქტები, რაც გაზრდის სასამართლოში მიმართვიანობის მოტივაციას (საქართველოში მოპასუხის მიერ არალიცენზირებული პროგრამების მოხმარების მტკიცების ვალდებულება მთლიანად მოსარჩელე მხარეს ეკისრება, აშშ-ში კი არსებობს პრაქტიკა, როცა მოსარჩელის დასაბუთებული საჩივრის საფუძველზე მოსამართლე მოპასუხე მხარეს ავალდებულებს IT აუდიტის ჩატარებას და/ან მათ მიერ მოხმარებული პროგრამების მონაცემების წარმოდგენას, რაც არ არის დაკავშირებული მათი მხრიდან დამატებითი ფინანსურ დანახარჯთან).

ამისათვის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია ტრენინგების ჩატარება მოსამართლეებისა და ექსპერტიზის სფეროს წარმომადგენლებისათვის, სადაც ისინი დასავლეთში არსებულ პრაქტიკას გაეცნობიან.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მოახდინოს ნების ღიად დეკლარირება (მაგალითად მთავრობის პირველი პირების განცხადებების, ბიზნესმენებთან შეხვედრების და ა.შ. გზით), რაც სტიმულს მისცემდა მსხვილი და საშუალო ბიზნესის

წარმომადგენლებს უფრო აქტიურად დაეცვათ საკუთარი უფლებები სასამართლოებში მიმართვის გზით.

ამასთანავე, ცხადია, ზოგადი რეკომენდაციაა სასამართლოს ავტორიტეტისა და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა.

- პირატობის მასშტაბებისა და კრიმინალური სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, და, შესაბამისად, საქართველოს მთავრობა არ ავლენს ინტელექტუალურ, კომპიუტერულ დანაშაულებებთან ბრძოლის რეალურ ნებას; ნების გამოხატულება მხოლოდ კანონმდებლობის შექმნაში, და არა მის აღსრულებაში აისახება.

ჩვენი რეკომენდაციაა, ხელისუფლებამ რეალური ნების დემონსტრირება სისხლის სამართლის კოდექსის აღსრულებით - პირველ რიგში, პირატული პროდუქციით უკანონოდ მოვაჭრეთა წინააღმდეგ სანქციების ამოქმედებით მოახდინოს. ეს საგულისხმო სიგნალი იქნება ზოგადად ხელისუფლებისათვის და შეასრულებს ყველა ტრენინგზე და საინფორმაციო მასალაზე უკეთეს საინფორმაციო-განათლებით ფუნქციას. სოციალური არგუმენტების მოტანა ამ შემთხვევაში არასწორად მიგვაჩნია, რადგან მაგალითად, სიგარეტის არალეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებით საქართველოში კიდევ უფრო დიდი საფრთხეები იყო დაკავშირებული, თუმცა ნების არსებობის პირობებში, ქვეყანამ კონტრაბანდული სიგარეტის პრობლემის მოგვარება შეძლო.

პროგრესის მაჩვენებელი იქნებოდა, როგორც დასჯის პრეცედენტების შექმნა, ასევე პოლიციური რეიდების პრეცედენტების შექმნა და შემდეგ მათი რაოდენობის გაზრდა. ეს საუკეთესო პრევენციულ ზომებად გვესახება.

ამასთან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში ყველა ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის ჩართული ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობის აღსრულების საქმეში (მაგალითად შსს, სასამართლო და ა.შ.) თავად იყვნენ ლიცენზირებული პროგრამებისა თუ სხვა ინტელექტუალური პროდუქტის მომხმარებელი, რაც გაზრდის მათდამი ნდობას და მათ მოტივაციასაც.

- ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ რეპრესიული ზომების გამოყენების არც ეკონომიკური და არც სოციალური ეფექტიანობა არ არის ცალსახა. პრობლემები, რომლებიც ექსპერტებს ანტიპირატული კანონმდებლობის აღსრულების გზაზე მთავარ წინაღობებად მიაჩნიათ, საერთოა პოსტ-სოციალისტური და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის. საქართველოში არსებული საკმაოდ დაბალი შემოსავლების პირობებში დგება დილემა, რომელიც კომპიუტერისა და ინტერნეტ-სივრცის, აქედან გამომდინარე კი, განათლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ზოგად ხელმისაწვდომობას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებას უპირისპირებს.

ამ პრობლემის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, არა მარტო სადამსჯელო, არამედ სხვადასხვა მასტიმულირებელი ღონისძიებების განხორციელება, თუ წახალისება ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად.

ამ კუთხით, შესაძლოა საინტერესო იყოს რუსეთის გამოცდილება, რომელიც პირატული მდგომარეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ქვეყანაა.

რუსეთში „მაიკროსოფტმა“ უარი განაცხადა მისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებელთა ცალსახა დევნაზე. კომპანიამ რუსეთში სალიცენზიო პოლიტიკა შეცვალა და ამჟამად სტრუქტურები, რომლებიც 50 კომპიუტერზე ნაკლებს იყენებენ, ან არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენენ, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიას ავტომატურად (უფასოდ) იღებენ. სანაცვლოდ კი მკაცრდება მოთხოვნები და კონტროლი მხვილი კომპანიების მიმართ. შედეგად, ლეგალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, დიდი კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები მიეჩვენებიან. პატარა ორგანიზაციები კი ასევე ლიცენზირებულს მოიხმარენ, ოღონდ უფასოდ. ზოგადად კი გაჩნდება ქვეყანაში ლეგალური პროგრამების გამოყენების კულტურა, რაც ინტელექტუალური საკუთრების მიმართ პატივისცემას გაზრდის.

გარდა არალიცენზირებული პროგრამების წინააღმდეგ ბრძოლისა, მნიშვნელოვანია ზოგადად ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ ასევე საინტერესოა გამოყენებულ იქნას აქტიური თანამშრომლობის პრაქტიკა ინტელექტუალური საკუთრების მფლობელ პირებთან, მათი გააქტიურების მიზნით. მაგალითად, იმპორტიორ კომპანიებს აუცილებელია აეხსნათ, რომ მეზაჟეებისთვის მათი პროდუქციის სასაქონლო ნიშნების შესახებ ტრეინინგების ჩატარება ევროპულ სახელმწიფოებში საკმაოდ აპრობირებული მეთოდია სასაქონლო ნიშნების ცნობადობის გასაზრდელად.

- მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ შექმნა უწყებათაშორისი საბჭო ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებისათვის, დღეს ამ საბჭოს მუშაობის ტემპი არადაამაკმაყოფილებელია.

ჩვენი რეკომენდაციაა, საბჭომ უფრო ინტენსიური გახადოს შეხვედრები. სტრატეგია შემუშავებულია, თუმცა საბჭომ განსაკუთრებული აქცენტები უნდა გააკეთოს არსებული კანონმდებლობის აღსრულების კონტროლზე. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სტრატეგიის სამოქმედო გეგმამ უფრო კონკრეტული ხასიათი მიიღოს, სტატისტიკურად მეტ-ნაკლებად დაზუსტდეს წარმატების ინდიკატორები. გარდა ამისა – აუცილებელია, რომ სტრატეგიულ გეგმაში ცნობიერების ამაღლებისა და საკანონმდებლო აქტების დახვეწის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნების გარდა, გათვალისწინებული იყოს მაკონტროლებელი ორგანოების როლის გაზრდა და მათ მიერ აღსრულების ბერკეტების ამოქმედების პერსპექტივა.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი #900-11, 10.11.11.
2. www.police.ge/index.php?m=199&newsid=161
3. საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი კობალაძის წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი, 17.11.11.
4. http://www.parliament.ge/index.php?sec_id=1209&lang_id=GEO
5. საქპატენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რევაზ თაბუკაშვილის წერილი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისადმი N0105/1344, 17.11.11.
6. საქპატენტის 2011 წლის საქმიანობის ანგარიში.
7. უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ნანა ვასაძის ელექტრონული წერილი, 11.17.11
8. <http://portal.bsa.org/globalpiracy2010/>
9. Molly Corso, *Georgia: Tbilisi's Reliance on Pirated Software Leaves Government Vulnerable to Cyber-Attack*, Eurasianet, 27.01. 2010, <http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav012810a.shtml>
10. <http://www.voanews.com/georgian/news/microsoft-georgia-104094173.html>
11. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=175&lang=geo
12. <http://www.internetworldstats.com/asia/ge.htm>
13. Assessment of Georgia's Intellectual Property Rights Environment (IPR Environment), USAID/Georgia Office of Economic Growth, Deloitte Consulting LLP, 4.3.11
14. http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/country_profile/countries/ge.html
15. ბიზნეს გეგმა - ტექნოლოგიების ტრანსფერ-ცენტრის დაარსება საქართველოში, GIZ, 18.10.11.

ანგარიშის მომზადებისას შედგა შეხვედრები, ინტერვიუები, და წერილობითი კომუნიკაცია შემდეგ პირებთან:

- ირაკლი ღვალაძე, საქპატენტის ხელმძღვანელი.
- გიორგი კობალაძე, ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელი.
- ეკა შანიძე, საქპატენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
- გიორგი ნიორაძე, ავტორთა საზოგადოების საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი.
- ირაკლი დემეტრაშვილი, USAID/EPI – ის პროექტის კომერციული სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი.
- ირაკლი გვილია, საქართველოში მაიკროსოფტის წარმომადგენლობის იურისტი

- **გიორგი ასათიანი**, საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.
- **გუგული მალრაძე**, თსუ პროფესორი, მედიაციის კლინიკის დამფუძნებელი.
- **ირინა კვახაძე**, საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.
- **ნიკა ნანუაშვილი**, საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის იურისტი.
- **ელენე ხოშტარია**, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.
- **არჩილ ყარაულაშვილი**, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ევროინტეგრაციის საკითხებში კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი.
- **ელენე ქემაშვილი**, საქპატენტის ავტორთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
- **დავით ასათიანი**, მაიკროსოფტ საქართველოს გენერალური მენეჯერი.
- **ანა გობეჩია**, საქპატენტის საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი.